„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 9 (275) 27 სექტემბერი, ხუთშაბათი. 2018 წელი; ფასი 1 ლ.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩა 31 დღე, ხმა მივცეთ ეროვნულ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებას!

## 27 სექტემბერი ჯვართამაღლებაა-გილოცავთ! გოლგოთის გზა - კაცობრიობის სინანულის გზაა...

**დიდი იუბილე**

## გერონტი კუხალეიშვილი 85



20 წელი - საპორტო ქალაქის ხელმძღვანელად, მზრუნველად და მოამაგედ!

ცხოვრება დროის სამივე განზომილებაში–

წარსულში, აწმყოსა და მომავალში

მე-3-4გვ-ზე

საიდეაქციო მილოცვა

## სიცოცხლე, რომელიც ფოთს მიუძღვნა

## გერონტი კუხალეიშვილი - 85

დიდი სამსახურისთვის მადლობის ნიშნად ქედს გიხრის ფაზის - ქალაქი!

კაცი-წარსულის, აწმყოს და მომავლის ერთიანობის სიმბოლო!

ქალაქის ხასიათს მისი მკვიდრი ადამიანები აქანდაკებენ. ყველაზე დიდი სიმდიდრე ადამიანური ურთიერთობებია, რომელიც ერთურთის და სამშობლოს სიყვარულით არის გამთბარი. არ არის იოლი უხელმძღვანელო იმ ქალაქს, რომლის ისტორიული მემკვიდრეობა მსოფლიოს ცივილიზაციის სათავეებთან დგას და უფრო ადრეული მითებიდან, ლეგენდებიდან მოდის, ვინემ სხვა უძველესი ქვეყნებისა. ესაა უძველესი ფაზისის, მანამდე უცნობი დაფარული ისტორია, რაც ასევე სამზეოს ელის. ფოთი-ფაზისი იყო საქართველოს ეკონომიკური და კულტურული ცენტრი ათასწლეულების წინ. ძნელია ამ ქალაქის მდინარეების სწორ კალაპოტში ჩაყენება, მით უფრო მას ევრაზიის ფორპორტის მისია აკისრია დიდი „აბრეშუმის გზის" აღორძინებით.

XX საუკუნის ბოლოს 20 წელი უხელმძღვანელა ქალაქს, რომელსაც დიდმა ნიკო ნიკოლაძემ ახლებური ფუნქცია მიანიჭა ნავსადგურის განახლებით და ქალაქთან ინტეგრირებით.

კარგი საქმის კეთება ყველა დროში შეიძლება, დიდ ადამიანებზე დრო ვერ ახდენს გავლენას.

ბატონ გერონტი კუხალეიშვილს სიცოცხლე მთლიანად ფოთს მიეძღვნა, მისი ცხოვრების გზა ფოთის სიყვარულზე გადიოდა და დაუდგა კიდეც ძეგლი მას მხურვალე შრომით, ნიჭით, მონდომებით, - როგორც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, ეროვნულმა, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებამ. 50 წელი მშობლიურ ქალაქის აღმშენებლობაში, მათ შორის 20 წელი-ქალაქის თავად!

სოციალურ - ეკონომიკურ აღმშენებლობას უერთებდა სულიერებას, ღვთიურობას, რწმენას-როგორც სიცოცხლის არსს. მას, როგორც მზრუნველთა საბჭოს ხელმძღვანელს, ლომის წილი მიუძღვის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის აღდგენაში.

ბატონ გერონტის უკავშირდება ქალაქის დიდი ისტორიის პატივგებისა და სახალხო დღესასწაულის - „ფაზისობის" დაწესება, რომელიც 1975 წლიდან აღინიშნება და სანიმუშოა მრავალი პარამეტრით, როგორც წარსულის და თანამედროვეობის თანაარსებობის მაგალითი - გამაერთიანებელი მშობლიური ქალაქის აღმშენებლობისთვის. შრომაში გალეული წლები მართლაც რომ ყველაზე დიდი სიმდიდრეა - მას თამამად შეუძლია გაიმეოროს დიდი ნიკო ნიკოლაძის სიტყვები: „მე შენ მწამდი, შენ მიყვარდი, შენ გემსახურე როგორც შემეძლო"...

ბატონმა გერონტიმ კიდევ ერთი რამ გვასწავლა თავისი ცხოვრების გამოცდილებით-რაც მუდამ უნდა გვახსოვდეს-„ძალადობა სიძულვილს იმკის, დათესე სიკეთე და იძიწე მშვიდად!"

სიკეთე, კაცობა, სიყვარული მარადიულობის თანმდევია, რამეთუ „დროს მიაქვს ყველა ძველი ჩვენი კაცობის გარდა"...

დიდ იუბილეს გილოცავთ ბატონო გერონტი-ეს ქალაქის იუბილეცაა, რამეთუ თქვენი ცხოვრება მისი ცხოვრების თანაზიარია, ამიტომაც მოკრძალებით გესალმებათ და ქედს გიხრით ფაზის-ქალაქი!

## საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II-„რად გვინდა ისეთი ეკონომიკა, თუ დავკარგავთ ჩვენს შვილებს".



### საით საქართველო – შიში – რა გზაა ვაზიდან კანაფამდე!

*სიმდიდრე სულიერი გაღატაკების ხარჯზე? სამწუხაროდ, ეს ორი მოვლენა ისევ დაუკავშირდა ერთმანეთს. მიზეზი ისაა, რომ ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება პარადოქსებითაა სავსე. სახელმწიფოც და პარტიებიც ჩამოყალიბების სტადიაშია. დემოკრატია, ანუ ხალხის ნდობა ხელისუფლებაზე გადის და, როცა იგი მხოლოდ თანამდებობებს უკავშირდება, მისი დატოვებისთანავაე ტოვებენ პარტიას. თანაც პირველი პირები. ეს არაა უბრალო დეტალი, დამანგრეველი მიმართულებაა დემოკრატიის სიწმინდის, ხალხის ნდობისა და პატივისცემის. არადა, პოლიტიკა და პოლიტიკური წყობა ქვეყნის ცხოვრების ხერხემალია. მეორე უმთავრესი პარამეტრია სულიერება, ღვთიურობა, რომლის მსახური დედამიწაზე არის ეკლესია, რომელსაც მავანნი უტევენ ყოველი მხრიდან, რათა გზა გაეხსნათ გარე დამკვეთის თუ პირადი მიზნების შესასრულებლად - რამეთუ ძნელია რწმენით ამაღლებული, განათლებული, ზნეობრივად სპეტაკი ადამიანების მართვა. სამწუხაროდ, სიღარიბე და სიღატაკე ასევე გახდა მართვისა და მორჩილების მეთოდი. თითქოს ლაპარაკია მაღალ ევროპულ ღირებულებებზე, რითაც მხოლოდ ერთი ნაწილი სარგებლობს. მთავარი პრობლემები კი მივიწყებულია, უმუშევრობა, დემოგრაფია და ა. შ. ამ დროს სიგარეტის მავნებლობაზე კეთდება აქცენტი, როცა ნარკოტიკი გაცილებით უფრო მავნებელია ჯანმრთელობის, ფსიქიკური აშლილობის და სხვა თვალსაზრისით. პარადოქსია ისიც, რომ ვებრძვით სიგარეტს და ვაკანონებთ ნარკოტიკების ლეგალიზაციას და მისი პლანტაციების მოშენების სახელმწიფო გეგმებს ვადგენთ. პარადოქსია ისიც, რომ სავაჭრო ქსელში ფარდის მიღმა იყიდება სიგარეტი და არ არის მისი ვიზუალურად არჩევის საშუალება. ეს ხომ არ არის გზა ლეგალიზებული ნარკომანიისაკენ? შეგიძლია მოიყვანო შენი სამყოფი კანაფი და სიგარეტზე ფული არ დაგეხარჯება. ასე მივიღებთ ცხოვრების რეალობიდან გაქცეულ პლანაქეშების მთელ ჯარს. თანაც მეორე პრობლემაც გადაიჭრება - ამ ადამიანებს არც სახლი უნდათ და არც ოჯახი, არც სამსახური. რა სჯობს ბოჰემურ ცხოვრებას, სუფრაც არ დაუჯდებათ ძვირი-ამ ნაპასით ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს! რა დროს სამშობლოა, ან სად აქვთ ამათ სამშობლო? ის ხომ მარადიულ მცნებათა ნაკრებია - სულიერება, ტრადიციები, კულტურა.*

გაგრძელება მე-2-გვ-ზე

### მილოცვა გერონტი კუხალეიშვილს

ფოთის კოლორიტი-ქალაქის სავიზიტო ბარათი



ბატონო გერონტი, ნება მიბოძეთ გულწრფელად მოგილოცოთ თქვენი დაბადების დღესასწაული. მინდა გისურვოთ კიდევ მრავალი წლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა თქვენს ლამაზ ოჯახთან და თანაქალაქელებთან ერთად.

ეს დღე საერთოდ ძვირფასია თითოეული ფოთელისთვის, რომელთათვისაც თქვენ თავდაუზოგავად იღწვოდით მრავალი წლის განმავლობაში და დღემდე დგახართ ქალაქის სამსახურში.

თქვენ იმდენი გააკეთეთ მშობლიური ფოთისთვის, რისთვისაც ყველაზე ძვირფასი - ადამიანური სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეთ. თქვენი ღვაწლი ქალაქის განვითარებისა და აღორძინებისათვის მუდამ შარავანდედით იქნება მოსილი.

დიდხანს იყავით მხნედ და ვაჟკაცურად ჩემო ძმაო და მეგობარო.

რამინ აბლოთია
აკადემიკოსი




### მიეცით მეტი მუსიკა, განწყობა და სიხარული ხალხს!

პოეზიის და სიმღერის დღესასწაული ფოთში

დიდი მაესტროს-ვაჟა აზარაშვილის, პოეტ მანანა ღანგაძის და მომღერალ ზურაბ კობეშავიძის კიდევ ერთი დაუვიწყარი, რომანტიკული საღამო-კონცერტი

მე-2-გვ-ზე

## დარეჯან გიგაშვილი



ეპოქათა ისტორიული პარალელები

საქართველოს ეროვნულ – სოციალისტური პოლიტეკონომიის საფუძვლები

შესავალი ნაწილი

(ნაწყვეტი წიგნიდან)

მე-7-გვ-ზე

აგარის (აგარა) წარმოშობის ისტორია (საქართველო - ბიბლიური ქვეყანა)

მე-6-გვ-ზე

# მიეცით მეტი მუსიკა, განწყობა და სიხარული ხალხს!
# პოეზიის და სიმღერის დღესასწაული ფოთში

## დიდი მაესტროს-ვაჟა აზარაშვილის, პოეტ მანანა დანგაძის და მომღერალ ზურაბ კობეშავიძის კიდევ ერთი დაუვიწყარი, რომანტიკული საღამო-კონცერტი




ხელოვნების უკვდავებას დიდოსტატები განაპირობებენ ყველა დარგში, ყველა ქვეყანაში. საქართველო, მადლობა ღმერთს, გამორჩეულია და ოდითგან ნაზიარებია ამ დიდ მადლს-მწერლობას, ხუროთმოძღვრებას, მუსიკას და ა. შ

დღეს ქვეყნისთვის მძიმე ვითარებაში კულტურულ ღონისძიებებს, საერო-სასულიერო დღესასწაულებს - გმირთა უკვდავყოფას, რომლებიც ასევე მრავლად გვყავს, უდიდესი მიშვნელობა აქვს, რათა ადამიანებს აუმაღლდეთ განწყობა, დროებით მაინც მოწყდნენ ყოველდღიურობას და უკეთ იგრძნონ თავი, ლამაზ, უცხო სამყაროში-პოეზიისა და მუსიკის სამყაროში.

ფოთი ყოველთვის დიდი სიხარულით ეგებებოდა ხელოვნების კორიფეებს ერთ - ერთი ყველაზე სასურველი სტუმარი იყო და არის დიდი კომპოზიტორი, მართლაც სახალხოდ, საყოველთაოდ აღიარებული კომპოზიტორი, ყველასათვის ახლობელი და სასიყვარულო პიროვნება, ბატონი ვაჟა აზარაშვილი.

12 სექტემბრის არც თუ ცხელ დღეს კულტურის სახლის დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა. საღამო გახსნა ეროვნული ფილარმონიის დირექტორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, დიდებულმა წამყვანმა და იუმორისტმა ბატონმა ლადო ხელაშვილმა.

ვიდრე ბატონი ვაჟა თავის უკვდავ ნაწარმოებებს აახმიანებდა მისებური მაღალი კულტურით, დიდოსტატობით, ფოთელებს მოეფერა, გაიხსენა წინა შეხვედრები მათთან, დიდი მადლობა მოახსენა ქალაქის ხელმძღვანელობას მხარდაჭერისათვისქალაქის მერს, ბატონ გოჩა კურდღელიას, მერის მოადგილეს ბატონ გიორგი ფარეშიშვილს.

დიდმა კომპოზიტორმა და მომღერალმა ასევე გაიხსენა ხობის და ფოთის ყოფილი ხელმძღვანელის „ფაზიის” აკადემიის პრეზიდენტის ბატონ ნუგზარ ნადარაიას განსაკუთრებული მხარდაჭერა ხელოვნების დარგის მუშაკებისადმი, მისი განსხვავებული სითბო და მასპინძლობა.

ბატონი ნუგზარი ესწრებოდა ამ მართლაც დაუვიწყარ საღამოს.

კომპოზიტორმა ასევე დიდი მადლობა გადაუხადა „ფაზისის” აკადემიის სამეგრელო-ზემო სვანეთის კოორდინატორს ბატონ ვაგნერ მხეიძეს, მის ოჯახს გულმხურვალე მასპინძლობისთვის, თანადგომისათვის.

„სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება”- გაშალა ფრთები უკვდავმა ჰანგებმა და ადამიანებს მიანიჭა აღმაფრენა, სულის სიმშვიდე, ღვთიური მადლი. დიდხანს ისმოდა ცნობილი პოეტების ლექსებზე დაწერილი სიმღერები, ფოთელი ეთერ კაკულიას განუმეორებელი ხმა - ფონოგრამით და ბატონ ვაჟას შესრულებით.

საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II აღმაშენებლის ტექსტზე შესრულებულ დიდებულ მუსიკას ფეხზე წამოუდგა მაყურებელი, ეს იყო დიდი ლოცვა და ვედრება სიმღერაში განფენილი. სიმღერა ხომ ქართული სულის აპოთეოზია, მასში განივთებულია ერის სულიერი სიმაღლე, გაცოცხლდა სიყვარულის, მეგობრობის, სამშობლოსთვის თავგანწირვის სულისკვეთება-ეს ხომ ისტორიაა გენიალურ მელოდიაში, მუსიკაში, რომელიც ყოველგვარ ჩარჩოებს არღვევს და გადადის თაობიდან-თაობაში. ერთხელ კიდევ მოიხიბლა მსმენელი კომპოზიტორის მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით.

დარბაზი მეტად მგრძნობიარე აღმოჩნდა, განსაკუთრებით ახალგაზრდები აყვნენ სიმღერებს და სცენა მოიცვეს, განსაკუთრებით დიდი მომღერლის ზურაბ კობეშავიძის ცნობილ ტემპერამენტიანი სიმღერების შესრულების დროს.



ბატონი ზურაბი წინათაც სტუმრობდა ფოთს და იგი ძველებურად მომხიბვლელი და ახალგაზრდული იყო.

თავის დიდ და ლამაზ პოეტურ სამყაროში გვამოგზაურა ბატონი ვაჟა აზარაშვილის მეუღლემ, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრმა, ქალბტონმა მანანა დანგაძემ,- იშვიათი პოეტური ხედვა, გამირჩეული სტილი, ასოციაციებით აზროვნება, სიყვარულით გამთბარი სტრიქონები, სევდა და სიხარული, ქვეყანაზე დარდი, ღვთის რწმენა და იმედი იფრქვეოდა ამ ულამაზესი ქალის ბაგეთაგან.

პოეზია, სიმღერა-სიკეთეა, ღვთიური მადლი გადმოდის, ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით...

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს მერიის კულტურის ცენტრის თანამშრომლებს, მათ ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო პაჭკორიას თანადგომისთვის, მასპინძლობისთვის.



საღამმოს დასასრულს ქალაქის მერის მოადგილემ გიორგი ფარეშიშვილმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა სტუმრებს და დიდი მადლობა გადაუხადა მათ ამ მართლაც დაუვიწყარი და რომანტიული საღამოსათვის.

ტრადიციულად სტუმრებს უმასპინძლა „ფაზისის” საერო-სამეცნიერო აცადემიის პრეზიდენტმა ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ. იყო მოფერება, ლოცვა და დღეგრძელობა მომავალი შეხვედრების სურვილით, სიმღერა გავბედეთ გამორჩეულ კომპოზიტორთან ერთად და, მგონი, გამოგვივიდა.

სტუმრებს აჭარაში მოელოდნენ, ჩვენც გზა დავულოცეთ სიმღერის, სიკეთისა და მშვიდობის დესპანებს.

მიეცით მეტი მუსიკა, განწყობა და სიხარული ხალხს!

ზ. აბრალავა

---

### ოპტიმიზმის საფუძველი - ახალი ფოთელი გუბერნატორი და პრეზიდენტად-ნიკოლაძის შთამომავალი...

# გააგრძელებს ფოთი ნიკოლაძის გზას?



შეიძლება დადგეს ის დრო, როცა ჩვენ, ფოთელებს მოგვეცეს შანსი ვიაროთ ნიკოლაძის გზით, განვახორციელოთ ის რაზეც ოცნებობდა ეს დიდი მოღვაწე. რაზეც ვოცნებობთ უკვე 30 წელია, ყველაფერი ეს მთავრდებოდა უშედეგოდ. მთავრობამ ძველმა თუ ახალმა წაუყრუა ჩვენს პრობლემებს. ოპტიმიზმის საფუძველი ისაა, რომ კოლხეთის მინდიად წოდებული, აკადემიკოს ალექსანდრე მოწერელიას შვილიშვილი ალექსანდრე მოწერელია გახდა ფოთის გუბერნატორი, რასაც ყველა მიესალმება და იმედით უყურებს ამ კარგ ამბავს. პრეზიდენტობის კანდიდატად კენჭს იყრის ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი. კარგი იქნება თუ გააგრძელებს დიდი ბაბუას გზას ქალაქ ფოთის და ნავსადგურის ინტეგრაციის თვალსაზრისით. დღეს ხომ ქალაქი ცალკეა, პორტი-ცალკე.

მათ უფლება არააქვთ გვერდი აუარონ ჩვენს წინადადებებს სხვა თუ არაფერი, მათ აქვთ ვალდებულება წინაპრების, მშობლების და ფოთელების წინაშე.

მათი მონდომებით, ხელშეწყობით უნდა მოხდეს საქართველლოს საზღვაო კარიბჭის, ფოთის აღორძინება. ექსმერ, ბატონ რომან მელიას მონდომებით მობილიზებული იყო უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტები საქართველოდან ჩვენი სანავსადგურო პროგრამის განხორციელებისათვის.. იყო პროგრამები, ინიციატივები, ინვესტორები, სამწუხაროდ, არ იყო მთავრობისგან მხარდაჭერა. იმედია, მოხდება გარდატეხა და ფოთის მომავალი ყინულზე არ დაიწერება,

ჯემალ გერსამია.
ახალი პორტის მშენებლობოს საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი.

---

### საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II–
### „რად გვინდა ისეთი ეკონომიკა, თუ დავკარგავთ ჩვენს შვილებს”.
# საით საქართველო - შიში - რა გზაა ვაზიდან კანაფამდე!

დასაწყისი პირველ-გვ-ზე



თითქოს გუშინ არ იყო სპეცოპერაციები ნარკოტიკების ამოსაღებად კლუბებსა თუ კაზინოებში შევარდნით -„ბასიანი”!-მაინც რა სახელი ქვია. კიდევ ბევრი რამაა გასარკვევი.თუ ნარკოტიკების მოხმარება ლეგალიზებულია, მწარმოებელს რატომ იჭერენ? ღვინოც ნარკოტიაკიაო რომ ამტკიცებენ, ვინც იმას აყენებს და ყიდის რატომ არ იჭერენ. კანაფის პლანტაციებით დიდ შემოსავალს მივიღებთ და გავმდიდრდებითო. სადაა გარანტია ისევ 5 კაცი არ იხეირებს ამ მილიარდებით. განა ხალხი გვერდზე არ დატოვეს, როცა ქვეყნის სიმდიდრე, საბადოები თუ სხვა წყაროები დაიტაცეს და გაანიავეს. გაღარიბებული ხალხი ქვეყანს ტოვებს, ინგრევა ოჯახები. ანტიეროვნული პროპაგანდა უმაღლეს დონეზეა და ყველაფერი კეთდება ახალგაზრდობის დეგრადაციის მიზნით-ამერიკელი დალესის პროგრამაც ეს იყო - „თუ გინდა ქვეყანა დაიპყრო - გარყვენი ახალგაზრდობა” “- იქნებ, ნორმალური სახელმწიფოსთვის ნარკოტიკები და მათი პლანტაციები არაა დამანგრეველი, მაგრამ, როცა სახელმწიფოს უამრავი პრობლემა აქვს და სახელმწიფო პოლიტიკურ დაპირისპირებათა პოლიგონად ქცეულა, ნაადრევია ასეთ კაპიტალზე და მოგებაზე ფიქრი. ჩვენ კოლუმბია-ავღანეთის მდგომარეობაში აღმოვჩნდებით და არა ავსტრია-გერმანიის, რომელთაც აქვთ ძლიერი სახელმწიფო ეკონომიკური საფუძვლები და კანაფის პლანტაციები მხოლოდ სამედიცინო საშუალებად განიხილება. საქართველო ისტორიულად მევენახეობის ქვეყანაა, ვაზის ქვეყანაა, რომელსაც ნარკოტიკულ მავნებლური კი არა ზნეობრივი ასპექტები უკავშირდება. ქრისტე ამბობს - „მე ვარ ვენახი” და ქართველიც ოდიდგან გალობს „შენ ხარ ვენახი”, „ვაზო შვილივით ნაზარდო”. ასეთ დროს ვაზის-ღვინის ნარკოტიკად მოხსენიება მკრეხელობაა. ქართველი კაცი ღვინით ღირსახსოვარ მოვლენებს აღნიშნავდა და ყოველდღე როდი იყენებდა, როგორც თრობის საშუალებას. ქართული სუფრა აკადემიააპექტაკლია და ლამის მთელ სამყაროს იტევს - სტუმარ-მასპინძლობის -აპოთეოზია. სადღეგრძელო ლოცვაა, ღვთის სამადლობელია და აქ რა მოსატანია ნარკოტიკებით გაბრუებული ადამიანები. ესაა გაქცევა ცხოვრებიდან, მოვალეობიდან, ესაა ცხოვრება კაცობისა და ღირსების მიღმა. აქ ისპობა ის გენოფონდი რომელიც ქვეყანას სჭირდება. ნარკომანი ანადგურებს რა საკუთარ თავს, პოტენციური დამნაშავეცაა და უფული, უმუშევარი კაცი ყველაფერზეა წამსვლელი, ოღონდ მოთხოვნა დაიკმაყოფილოს. ნარკოტიკების მომხმარებელთა დაჭერა არაა გამართლებული, მათ სჭირდებათ სერიოზული დახმარება სოციალური, ფსიქიკური და სხვა პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით.

საქართველოს ეკონომიკა სხვა რელსებზე უნდა გადავიდეს, შესაძლოა მანქანათმშენებლობის ფლაგმანი ვერ გავხდეთ, მაგრამ რაღაც გამოცდილება ხომ აქვს ქვეყანას. სოფლის მეურნეობაც ამ მადლიან მიწაზე ყველაზე მომგებიანია, დიდ და მრავალფეროვან მოსავალს იძლევა. განა საკმარისად არ გვქონდა ვენახი, ჩაი, სუბტროპიკული კულტურები, ხორბალი, ხილი და ა. შ. განვითარებული იყო მეცხოველეობა და მეფრინველეობა. რატომ მაინცდამაინც კანაფი გადაარჩენს საქართველოს. კაზინოები და სხვა უბედურება. ვართ ჩვენ მზად ამისთვის? მოკლედ, ყველაფერში ვჩქარობთ, მოულოდნელობითაა სავსე ეს ცხოვრება. ასეთი გაუთვლელი ნაბიჯების გადადგმა კარგს არ მოიტანს. ამას ყველაზე კარგად ხედავს ეკლესია თავისი სულიერი გადასახედიდან. რად გვინდა სიმდიდრე, ფიზიკური და ზნეობრივი დეგრადაციის ხარჯზე, ბარემ პროსტიტუციაც დააკანონონ, რა ნაკლებ შემოსავალს მოიტანს? ისედაც ჯარადაა მომდგარი თურქი თუ სპარსი და ლამის ბორდელებად გვიქციონ სათაყვანებელი გმირების პროსპექტები.

არავინ იცის წინ რა გველოდება. ნარკოტიკული ჯოჯოხეთი თუ სიმდიდრე და აქაური სამოთხე. ღმერთმა ქნას ნარკოლიბერალიზაციამ და კანაფის პლანტაციებმა უშველოს ქვეყანას და ამის მეტი პრობლემა არ გვქონოდეს, თუმცა მაინც მაწვალებს ეჭვი საით მიდის საქართველო -წინ თუ უკან?! ისე ხომ არ გვჭირს „გაღმა გასვლისა მსურველთა უკუღმა მიგვყავს ბორანი”.

ზ. აბრალავა

დიდი იუბილე

# გერონტი კუხალეიშვილი 85

## 20 წელი - საპორტო ქალაქის ხელმძღვანელად, მზრუნველად და მოამაგედ!

ცხოვრება დროის სამივე განზომილებაში-წარსულში, აწმყოსა და მომავალში

## დიდი საჩუქარი შთამომავლობას
## წიგნი ,,მომავლის წარსული"-
წარსულის აწმყოსა და მომავლის მატეანე




## შტრიხები გერონტი კუხალეიშვილის ბიოგრაფიიდან

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა განუყოფელია ქალაქის და ქვეყნისათვის ზრუნვისაგან. ასეთ ადამიანებზე იტყვიან - ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობსო. მათ რიგშია **გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილი**, რომლის სახელს უკავშირდება ქალაქ ფოთის განვითარებისა და აღმავლობის დიდი პერიოდი.

გერონტი კუხალეიშვილი დაიბადა ქალაქ ფოთში, მოსამსახურის ოჯახში.

1951 წელს დაამთავრა ფოთის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრო-მელიორაციულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა ინჟინერ - ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით.

1956-1959 წლებში მუშაობდა ტრესტ ,,კოლხიდმშენის" ხობის სამშენებლო სამმართველოში ინჟინრად, მოგვიანებით დაწინაურდა ერთ-ერთი უბნის უფროსად.

1959 წლიდან მუშაობდა ქ. ფოთის კომკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანიებში. იყო კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის, შემდგომ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

კოლხეთის დაბლობის მიწების ამოშრობისა და ათვისების სამუშაოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მონაწილეობისათვის, შრომაში მიღწეული წარმატებისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1983 წლის 12 აპრილის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება, ხოლო 1983 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულებით დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებში აქტიური, ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 50 წელთან დაკავშირებით 1973 წლის №16 ბრძანებით საქართველოს სსრ სახახო კონტროლის ორგანოებში აქტიური მუშაობისათვის გადაეცა საპატიო სიგელი.

1971-1991 წლებში ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა, იმავდროულად 1990-1991 წლებში აირჩიეს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

მომდევნო წლებში მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატის ფოთის ბიუროს უფროსად, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონული ბიუროს უფროსად, საქართველოს კონტროლის პალატის დასავლეთ საქართველოს დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მთავარ მრჩევლად.

1959-1991 წლებში არჩეული იყო ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მე-10-18 მოწვევის დეპუტატად, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრად. პენსიაში გასვლის შემდეგ, ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. არჩეულია ღვთისმშობლის შობის ფოთის საკათედრო ტაძრის აღდგენის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარედ, რომელსაც 2007 წლიდან წარმატებით ხელმძღვანელობს.

2009 წლიდან არჩეულია ფაზისის საერო - სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 2010 წლიდან თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარედ.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები: მედლები ,,შრომითი წარჩინებისათვის", ,,მამაცური შრომისათვის", ,,საპატიო ნიშნის", ,,შრომის წითელი დროშის", ,,ღირსების" ორდენებით, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, სახალხო მეურნეობის გამოფენის ოქროს მედლით.

**საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 24 ივლისის განკარგულებით გერონტი კუხალეიშვილი დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით**

არჩეულია ფოთისა და დაძმობილებული ქალაქების - ამერიკის შეერთებული შტატების, ჯორჯიის შტატის ქალაქ ლაგრანჟესა და საბერძნეთის ქალაქ ნავპლიონის საპატიო მოქალაქედ.

# ფოთი - ჩემი ოცნების ქალაქი



ლამაზი და მომხიბვლელი დილა გათენდა. ასე მგონია ზღვის ტალღებს ეალერსებიან მზის შუქმფენი სხივები. მაღლით მოძღვნილი სითბო ეღვრება პონტოს ექვსინოსს (შავი ზღვა).

რაოდენ დიდია სულის მღელვარება, რომელიც ჩემში ტრიალებს და მოსვენებას არ მაძლევს . გავცქერი მდინარე რიონს, რაოდენ ლამაზია მისი ხეობა და შემოგარენი. იგი იქიდან მოედინება, საიდანაც ჩვენი გვარი ჩამოჰყვა მას. აქ, ზღვის შესართავში დაბადებულა თქმულება არგონავტთა შესახებ, რომელმაც გაუძლო საუკუნეთა სრბოლას და დღევანდლამდე სახეუცვლელად მოაღწია. გავყურებ პალიასტომის ტბას და გული ტკივილით მევსება. პალიასტომი ჩემში ასოცირდება, როგორც ტრაგიკული ისტორია, რომლის სიღრმეშიც ჩამარხულა დიდი ტაძარი.

პალიასტომი დღეს მშვიდია, მაგრამ, როდესაც აბორგდება სახიფათო და სასტიკია.

რა შეედრება ფოთის ნავსადგურსა და მის შემოგარენს, აქ შემოსული დიდი წყალწყვის ხომალდების ბუბუნს, რომლებიც გვამცნობენ , რომ საქართველო სწორედ აქედან, უძველესი ფაზის -ფოთიდან იწყება.

უცნაური ბედისაა ჩემი ქვეყანა. ფაზისში დაირწა უძველესი კოლხეთის- საქართველოს აკვანი, რომელიც კოლხურ ნანასავით შეერწყა იბერიულ იავნანას და ასე მოდის, როგორც უკვდავების ტკბილი სიმღერა.

იყო დრო, როცა ჰყვაოდა კოლხთა ქვეყანა. მზე აიეტის ანათებდა კოლხეთის დაბლობს, ათბობდა მის ნოყიერ მიწას, როგორც კოლხური გოლეული (თაფლი) ისე იზიდავდა მავანს და მავანს. ჰეკატესა და მედეას ბაღი ჰყვაოდა მის მადლიან მიწაზე, ხოლო დაბურულ ტყეში ინახებოდა კოლხთა სიამაყე- ,,ოქროს საწმისი". შავი, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების სივრცეებში იკარგებოდა ბერძენ იაზონსა და კოლხ მედეას მიდევნებული დედის გულში ჩამწვდომი კივილი.

ასე მიედინებოდა ცხოვრება. მთიდან ჩამოსულ რიონს მოჰქონდა კოლხ-ქართველთა ბედი და უბედობა.

დღეს, ამ მშვენიერ დილას, ნიკო ნიკოლაძის კოშკიდან გავყურებ ჩემი ფოთის, ჩემი ფაზის-ქალაქის შემოგარენს და თვალწინ ცოცხლდება ხანგრძლივი ომების ის ბატალიები, რომელმაც 1828 წელს საბოლოოდ ხელიდან გამოგლიჯა დამპყრობლებს კოლხეთის პატარძალი, მარადიული და უკვდავი ფოთი.უპირველესად, მინდა ფოთის სახელოვან ისტორიას შევეხო, მისი განვითარების ეტაპების მიხედვით.

თანამედროვე გეოგრაფიულ სივრცეში მდებარეობდა ისტორიული ქალაქი ფაზისი, რომელიც ძველ კოლხებს 3 000 წლის წინათ დაუარსებიათ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში აქ უკვე არსებულა ,,ფაზისის" რიტორიკული სკოლა, რომელიც ცნობილი იყო ფაზისის აკადემიის სახელით. იყო დრო, როცა აქ მეცნიერება ჰყვაოდა. კოლხთა რიტორიკულ სკოლაში გუგუნებდა ფილოსოფიური ცოდნის მომნიჭებელი ზარები. აქ ეზიარებოდნენ ფილოსოფიისა და რიტორიკული ცოდნის საფუძვლებს უცხოელი და ქართველი ახალგაზრდები...

ქალაქის დაარსებისა და მისი შემდგომი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო მისი გეოგრაფიული მდებარეობა , რადგან ფაზისზე გადიოდა სავაჭრო გზა წერდა: ,,სანამ ფოთში პორტი არ გაიმართება, მანამდე ფოთის მომავალი ყინულზეა დაწერილი"-ო. ითვალისწინებდა ქალაქის ტერიტორიასა და მის შემოგარენში კაპიტალური მელიორაციის ჩატარებას, რომლის მთავარ მიზანს შეადგენდა აქ არსებული ჭაობებისა და კოღოს ინკუბაციის კერების ლიკვიდაცია, ჰიფსომეტრული ატმოსფერული წნევის დონის აწევა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ტერიტორიის მელიორაციული და ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესება.

ფოთი, რომლის ტერიტორია 62 კვ/კმ-ია მეორე ქალაქია საქართველოში, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა არამარტო თავისი სილამაზითა და სისუფთავით, იგი ასევე ცნობილი იყო ეკონომიკის განვითარების ნოვატორული ძიებითაც.

პირველად ჩვენს ქალაქში განხორციელდა ტერიტორიული დაგეგმარებისა და მართვის ექსპერიმენტი, რომელმაც გადაწყვიტა მართვის დარგობრივი, ტერიტორიული პრინციპების შეთანაწყობა, რამაც სასურველი პირობები შექმნა ქალაქის საწარმოო ძალების ოპტიმალური განვითარებისა და ეკონომიკის აღმავლობისათვის.

ეს იყო ფაქტობრივად დასაწყისი საკავშირო სტრუქტურების რღვევისა და პირველადი საფუძვლების შექმნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად, ქალაქის დამოუკიდებელი ეკონომიკური ზონის პირობებში.

ფოთი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო და სატრანსპორტო ქალაქია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია ფართოდ იყო ცნობილი მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებსა და იგი იგზავნებოდა 51 ქვეყანაში.

ქალაქში ფუნქციონირებდა ისეთი დარგები, როგორიცაა - ჰიდრომანქანათმშენებლობა, გემთმშემებლობა, გემთშეკეთება , ელექტროტექნიკური, საოკეანო თევზჭერის, მსუბუქი და კვების მრეწველობა და სხვა.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქალაქში მოხდა არსებითი გარდატეხა. დაიწყო ნამდვილი აღმშენებლობის პროცესი, რამაც მთლიანად შეცვალა მისი იერსახე.

ცენტრის, კუნძულის, ნაბადისა და მალთაყვის ტერიტორიებზე აშენდა ახალი საცხოვრებელი სახლები, მიკრორაიონები დამშვენდა კეთილმოწყობილი სასწავლო, კულტურის, ჯანმრთელობისა და სპორტულ- გამაჯანსაღებელი კერებითა და ინფრასტრუქტურით. აიგო ცხრა ხიდი, მათ შორის რკინიგზაზე გადასასვლელი გზაგამტარი, რომლითაც საბოლოოდ გადაიჭრა ქალაქში სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის პრობლემები. ასევე ორი ამორტიზებული ხიდი მდინარე რიონზე შეიცვალა ახალი ხიდებით, ქალაქის ასაქცევი საავტომობილო გზის ერთი ხიდი მდინარე რიონზე და ორი ხიდი მდინარე კაპარჭაზე. ფოთი-ლანჩხუთის მაგისტრალზე აიგო ორი ხიდი-ერთი მდინარე მალთაყვაზე და მეორე მშრალი ხიდი. დაიწყო ქალაქის შუქურასთან ახალი ხიდის მშენებლობა, რომლითაც საფუძველი ეყრებოდა მალთაყვის ტყეპარკსა და საზღვაო ვაგზალს შორის ზღვის სანაპირო ზოლის გასწვრივ, როგორც საავტომობილო გზით, ისე საბავშვო რკინიგზით დაკავშირებას, მაგრამ ცნობილი მოვლენების შედეგად დღესაც დაუმთავრებელია.

აშენდა საშუალო სკოლის ხუთი შენობა, საბავშვო ბაღები, რეკონსტრუქცია გაუკეთდა ცენტრალურ პარკს, სადაც მოეწყო საბავშვო ატრაქციონები, მომღერალი შადრევნები, საზაფხულო კინოთეატრი, სადაც განთავსებული იყო სამხატვრო გალერეა და ,,ფაზისის" აზიიდან ევროპისაკენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში.

ისტორიულ წყაროებში ქალაქი ფაზისი - ფოთად პირველად მოხსენიებულია ჩვენი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნეში.

1832 წლის აგვისტოს, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ფოთმა მიიღო სანავსადგურო ქალაქის, ხოლო 1859 წლის პირველი იანვრიდან კი ქალაქის სტატუსი.

1872 წელს გაიხსნა ფოთი -თბილისის რკინიგზა, რამაც საგრძნობლად გაზარდა ფოთის საზღვაო ნავსადგურში ტვირთბრუნვის მოცულობა და უზრუნველყო კაპიტალიზმის საფუძვლების შექმნა.

ფოთის აღმშენებლობის საქმეს 1894 - 1914 წლებში სათავეში ედგა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე.

მინდა აღვნიშნო, რომ ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობაში ფოთს განსაკუთრებული ადგილი ეკავა, რადგან სწორედ აქ გამოჩნდა, მისი, როგორც აღმშენებლის, ისე საზოგადო მოღვაწის ნიჭი და უნარი; მისი როგორც ერისკაცის თავდადება და მონდომება.

ნიკო ნიკოლაძე განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა ქალაქის კეთილმოწყობას. ამ მიზნით 1901 წელს შედგენილი იქნა ქალაქის რეკონსტრუქცია-განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც დამუშავებული იყო დიდი გემოვნებით და ითვალისწინებდა ფოთის მომავალი განვითარების ყველა შესაძლებლობას. დაიგეგმა რადიალური, განიერი ქუჩები და ტროტუარები, წრისებური მოედნები, რომლის თანახმადაც შემდგომშიაც წარმოებდა ქალაქის კეთილმოწყობა და განაშენიანება. უნდა ითქვას, რომ დღესაც ნიკო ნიკოლაძისეული ქალაქის დაგეგმარება ძირითადად შენარჩუნებულია.

დიდია ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ქალაქის პრობლემებისადმი მიდგომის, ჩანაფიქრის კომპლექსური ხასიათით და გადაწყვეტით. იგი წერდა - ,,ფოთის ეკოლოგიური წარსული, აწმყო და მომავალი ერთი დიდი პრობლემაა"-ო. ეს დღესაც განსხვავებულად რთულია, იმავე გეოკრატიული ფაქტორების მოქმედების შედეგად და მომავალშიაც რთული იქნება. სწორედ ამ ურთულესი პრობლემის გადაწყვეტის წინაშე დგას დღეს ჩვენი ქალაქი.

1858 წელს ფოთის ქალაქად გამოცხადებას დაემთხვა ცნობილი ფრანგი მწერლის ალექსანდრე დიუმას (მამა) სტუმრობა, საინტერესოა მისი რეაგირება ფოთის ქალაქად გამოცხადების გამო- ,, 10 თუ 12 უსახური სახლი სრულებითაც არ არის საკმარისი რომ ასეთ დასახლებას ქალაქი ვუწოდოთ, და თანაც განა შესაძლებელია ქალაქს არცერთი ქუჩა არ ჰქონდეს"-ო, წერდა იგი.

სრულიად მოუგვარებელი იყო ქალაქის ტერიტორია მელიორაციის მხრივ და

გაგრძელება მე-4 გვ-ზე

**დიდი იუბილე**

# გერონტი კუხალეიშვილი 85

## 20 წელი - საპორტო ქალაქის ხელმძღვანელად, მზრუნველად და მოამაგედ!

ცხოვრება დროის სამივე განზომილებაში–წარსულში, აწმყოსა და მომავალში

## დიდი საჩუქარი შთამომავლობას

## წიგნი ,,მომავლის წარსული"-

წარსულის აწმყოსა და მომავლის მატიანე

დასაწყისი მე-3 გვ-ზე



ადამიანებისათვის კომფორტი აბსოლუტურად არ იგრძნობოდა. ალექსანდრე დიუმას გამოთქმით-,, ვრცელ ყელთამდის საფლობ ჭაობს წარმოადგენდა”.

ნიკო ნიკოლაძე კარგად იცნობდა ქალაქს და მის შემოგარენს. სრული წარმოდგენა ჰქონდა კოლხეთის დაბლობის, კერძოდ, ფოთისა და მისი შემოგარენის ბუნებაზე, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ჰქონდა შემუშავებული მოქმედების კომპლექსური პროგრამა და დასაბუთება. პროგრამიდან გამომდინარე, აუცილებლად მიიჩნევდა ნავსადგურის რეკონსტრუქციას,ის სახალხო აკადემია, რომელიც ცნობილი მოვლენების დროს განადგურდა. პარკის ტერიტორია კეთილმოეწყო მოზაიკური ფილებითა და თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული სკამებით. სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ნიკო ნიკოლაძის სახელობის ბავშვთა ბიბლიოთეკას. ცენტრალურ მოედანზე ავაგეთ კოლხი დედის ძეგლი, რომლის ავტორები არიან შოთა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, ფოთის საპატიო მოქალაქეები, საქართველოს დამსახურებული მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი და დამსახურებული არქიტექტორი, აკადემიკოსი ვახტანგ დავითაია.

მალთაყვაში აღიმართა ომში დაღუპულ გმირთა დიდების მემორიალი, ტყეპარკში გაიხსნა საბავშვო რკინიგზა.

ჩატარდა მდინარე რიონის ჩრდილოეთის ტოტისა და რიონის სანაპირო ზოლის რეკონსტრუქცია -გამწვანების სამუშაოები, მალთაყვაში, კუნძულსა და ნაბადაში- სამკერვალო ფაბრიკის გასწვრივ ზღვის სანაპიროზე მოეწყო პლაჟები თავისი ინფრასტრუქტურით.

ქალაქში აშენდა სამი სავაჭრო ცენტრი, ავტოსადგური, აეროპორტი, სასტუმრო ,,აიეტი”, ცენტრალური საავადმყოფო 240 ადგილზე, ბავშვთა საავადმყოფო, ბავშვთა პოლიკლინიკა და ცენტრალური პოლიკლინიკა.

კეთილმოეწყო და გამწვანდა საზღვაო ვაგზლის მიმდებარე ტერიტორია მომღერალი შადრევნის კასკადით, რომელიც ქალაქის მოსახლეობისა და განსაკუთრებით ბავშვებისა და ახალგაზრდების საუკეთესო დასასვენებელ ადგილად იქცა.

ნავსადგურის მოედანზე დაიდგა ნიკო ნიკოლაძის ძეგლი და კეთილმოეწყო მისი მიმდებარე ტერიტორია. მიკრორაიონების მიხედვით აიგო სპორტული მოედნები, აშენდა ცენტრალური სტადიონი დრენაჟითა და განათებით.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კულტურის სახლის, კლუბების, ბიბლიოთეკების, სპორტული ბაზების, ხელოვნურ საფარიანი კომპლექსური მოედნების რეკონსტრუქციას. გავხსენით დახურული და ღია საცურაო აუზები თავისი ტრამპლინებით. სანიჩბოსნო და საწყლოსნო სპორტის ბაზები, მალთაყვაში ავაშენეთ წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის ჩასატარებლად თანამედროვე ტიპის საწყლოსნო ბაზა. ტყეპარკში ღია ცისქვეშ მოვაწყვეთ ეთნოგრაფიული მუზეუმი ,იქვე განვათავსეთ ეგზოტიკურ ფრინველთა და ცხოველთა ზოოპარკი.

განვახორციელეთ ქალაქის მთავარი რადიალური მაგისტრალების, გადამკვეთი ქუჩების და ტროტუარების ასფალტირება და კეთილმოწყობა. ცენტრალური ქუჩები დავამშვენეთ ერთიანი ღობეებითა და კეთილმოწყობილი სანიაღვრე არხებით. ახალი სისტემით გავახორციელეთ ქალაქის გარეგანათებისა და რეკლამის დამონტაჟება.

მშენებლობის ,მაშინდელი მინისტრის, ნოდარ მეძმარიაშვილის, ინიციატივით აშენდა “სახლსაშენებელი” კომბინატი, რომელიც სამშენებლო მასალებით ამარაგებდა არა მარტო ფოთს, არამედ დასავლეთ საქართველოს რაიონებსა და ქალაქებს.

ქალაქის მთელ რიგ უბნებში ჭაობი გასული საუკუნის 50-იან წლებამდე შემორჩა, რაც ტრესტ ,,კოლხეთმშენის” სახელოვანი კოლექტივის თავდაუზოგავი შრომის შედეგად, მდინარე რიონის რეგულირების წესით იქნა დაშრობილი.

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ დიდი ძალისხმევის შედეგად, 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იან წლებში, ტრესტ ,,კოლხეთმშენის” აქტიური მონაწილეობით, წარმატებით მიმდინარეობდა სანიაღვრე კანალიზაციის მშენებლობა, განსაზღვრული სატუმბი სადგურებით და საკანალიზაციო ბეტონის არხების ფართო ქსელით, ბუნებრივი მიმღებებისა და არსებული მიწის ნაყარი არხების გამოყენებით.

გავაშენეთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სათბური ოთხ ჰექტარზე, რომელიც ქალაქის მოსახლეობას ამარაგებდა სხვადასხვა სახის პროდუქტებით.

განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაპყრო მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ იპოდრომიდან-ციტრუსების მეურნეობამდე მოწყობილ გალერეას, ორი სატუმბი სადგურით, რომელიც ქალაქის ცენტრს და მის მიმდებარე ტერიტორიას, დიდი წვიმების შედეგად დატბორვის ყველა პრობლემას უხსნის. აღნიშნული სამუშაოები მთლიანად ქალაქის მასშტაბით განხორციელდა.

ანალოგიურად, დიდი სამუშაოები იქნა ჩატარებული ფეკალური კანალიზაციის მშენებლობის ხაზით, რომელიც სატუმბი სადგურებით მექანიკური წესით იტუმბებოდა მდინარე რიონზე, სპეციალურად აშენებულ დაკიდულ ხიდზე დამონტაჟებული მილსადენით ხობის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც მოწყობილი იქნა მიმღები ნაგებობა თავისი ლაბორატორიით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა, ქალაქის ტერიტორიაზე ჭაობების დაშრობასთან ერთად, დადებითად იმოქმედა მძიმე მელიორაციის პრობლემების გადაწყვეტაზეც.

განსაკუთრებით სავალალო და კატასტროფული მდგომარეობაა დიდი კუნძულის უბანში, ზღვის- სანაპირო ზოლის წარეცხვების თვალსაზრისით. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგენილია, რომ სანაპირო ზოლის წარეცხვების ძირითადი მიზეზი ზღვის ნაპირდამცავი ქვიშის ანუ პლაჟწარმომქმნელი ნატანის დეფიციტია. იგი შეიქმნა მდინარე რიონის ძველი შესართავიდან საზღვაო ნავსადგურის ჩრდილოეთით ნაბადის კალაპოტში გადაგდების შედეგად. დადგენილია, ასევე, რომ ქალაქ ფოთის ეროზიული ნაპირების დაცვა- აღდგენის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა და საუკეთესო საშუალებაა ადრე წარეცხილი ფართობის, რომელიც ფოთის სანაპირო ზოლში შეადგენს 450 ჰექტრამდე, უწყვეტი ნაპირდამცავი პლაჟების აღდგენა, რომელიც ითვალისწინებს მდინარე რიონის წყალგამყოფი კვანძის ზედა ბიეფში მიწისმწოვი დანადგარებით ნატანების ტრანსპორტირებას ზღვის სანაპირო ზოლში 8,5 კმ-ის ლითონის 600-700 მმ-იანი დიამეტრის სადენებით ზღვის ნაპირამგები ქვიშის, ანუ პლაჟწარმომქმნელი მასალის დამუშავებას.

1982-1983 წლებში ძლიერი შტორმების შედეგად ფოთში ზღვის სანაპიროს წარეცხვებმა კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია. ამიტომ დაიწყო ქალაქის წარეცხილი ნაპირების, როგორც გამაგრებითი, ისე აღდგენა -დაცვის სამუშაოები და ზემოაღნიშნული მეთოდით პლაჟწარმომქმნელი მასალის ტრანსპორტირება. შედეგად დარეგულირდა და აღდგა დაახლოებით 12 ჰექტრამდე ზღვის ნაპირი, მათ შორის სამი ჰექტარი დიდი კუნძულის ტერიტორიის გასწვრივ. პარალელურად მოეწყო და ქალაქმა მიიღო ორი კილომეტრი სიგრძის სანაპირო ზოლი.

1990-იანი წლების ცნობილმა მოვლენებმა შეაფერხა, როგორც ზღვის სანაპირო ზოლის დაცვის სამუშაოების გაგრძელება, ისე სანიაღვრე და ფეკალური კანალიზაციების, შუქურასთან მდინარე რიონზე ახალი ხიდის სამუშაოთა გაგრძელება, რომელთა დაფინანსება ფაქტობრივად რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით მიმდინარეობდა.

ქალაქის ტერიტორიის მელიორაციის, ზღვის სანაპირო ზოლის წარეცხვებისაგან დაცვის, მის შემოგარენში, დაჭაობების მეორადი კერების წარმოშობის პრობლემა რთული გადასაწყვეტია. ხანგრძლივი წვიმების შედეგად დატბორვებისა და არხების მიერ სანიაღვრე წყლების გაუტარებლობა, მასიურად იწვევს მოსახლეობის ეზოებისა და სახლების პირველი სართულის დატბორვას, სანიტარულ- ჰიგიენური წესრიგის დაუცველობას და კვლავ იქმნება ფონი მძიმე მელიორაციული და ეკოლოგიური ვითარების გართულებისათვის. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ მთელი წარმადობით არ მუშაობს სანიაღვრე კანალიზაცია, რაც საქართველოს კარიბჭისათვის ყოვლად მიუღებლად უნდა მივიჩნიოთ.

ფოთი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი ერთი დიდი პრობლემაა, როგორც ყოველმხრივ ურთულესი, ჭეშმარიტად მარადიული პრობლემა, დღესაც განსხვავებულად რთულია გეოკრატიული ფაქტორების მოქმედების შედეგად, რომელთა გადაწყვეტა ერთდროულად განსაკუთრებით რთულია, ხოლო ზედაპირული და გაუაზრებელი ღონისძიებების გატარება სასურველ შედეგს არ იძლევა.

ამიტომ, ქალაქის გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური საფრთხის ასაცილებლად, მიზანმიმართული და გადაუდებელი კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო.

ჩვენ თუ ფოთის ეკოლოგიურ წარსულს, აწმყოსა და მომავალს ერთ დიდ ურთულეს მარადიულ პრობლემად განვიხილავთ, არ შეიძლება ნიკო ნიკოლაძე არ გაგვახსენდეს, რომელიც ფოთის ბუნების ჭირვეულობასა და მის შედეგებს მიიჩნევდა მარადიულ ურთულეს პ[რობლემად. სამწუხაროდ ეს დღესაც ურთულეს პრობლემად აწევს ჩვენს ქალაქს.

ფოთი ყოველთვის ამაყობდა და ამაყობს თავისი ისტორიული წარსულითა და მდებარეობით მსოფლიოს რუკაზე. ფოთელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ თავიანთი ტოლერანტობით. ამის დადასტურებაა ფოთის დამეგობრება ამერიკის შეერთებული შტატების, ჯორჯიის შტატის ქალაქ ლაგრანჟესთან, საბერძნეთის ქალაქ ნავპლიონთან, ისრაელის ქალაქ რიშონ ლე ციონთან, კვიპროსის ქალაქ ლარნაკასთან, უკრაინის ქალაქ ბერდიანსკთან, ლატვიის ქალაქ ლიეპაიასთან და სხვა. ამ მეგობრობის უკვდავყოფის დასტურია ფოთში დამობილებული ქალაქების ქუჩების სახელწოდებები, აგრეთვე ფოთის სახელობის ქუჩები ზემოთხსენებულ ქალაქებში.

ფოთელებს კარგად ახსოვთ, თუ როგორი ყურადღებით ადევნებდა მთელი მსოფლიო თვალყურს ტიმ სევერინის მოგზაურობას, რომელმაც პრაქტიკულად გააცოცხლა ანტიკური ეპოქიდან დღემდე ლეგენდად მოსული თქმულება ბერძენთა გმირული მოგზაურობის შესახებ. ეს იყო მისი ჰუმანური და მნიშვნელოვანი მეცნიერული მისია, რომელიც ფოთის ისტორიულ მატიანეში სამუდამოდ ჩაიწერა როგორც “არგონავტიკა 1984”. ამ მოგზაურობაში ფოთელი სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობდნენ. სანახაობრივად შთამბეჭდავი და არნახული იყო ტიმ სევერინის, ,,ახალი არგონავტების” შემოსვლა ფოთის ნავსადგურში, რომელიც სახალხო ზეიმად იქცა, ტელევიზიებმა მსოფლიოს 54ქვეყანაში პირდაპირ გადასცა ეს მოვლენა.

1991 წელს ფოთში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში ,რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის 17 სახელმწიფოს სპორტსმენები. ეს ჩემპიონატი თავისი ორგანიზაციითა და მასშტაბურობით დაამშვენებდა მსოფლიოს ყველა მაღალგანვითარებულ ქვეყანას. ეს იყო სანახაობა, რომელიც ფოთელებს არასოდეს დაავიწყდებათ. ბუნებრივია, ჩემპიონატის ასეთ დონეზე ჩატარებას წინ უძღოდა დიდი მოცულობის კეთილმოწყობისა და სამშენებლო სამუშაოები, რაც წარმატებით განხორციელდა. ფოთში ტრადიციად დამკვიდრდა სხვადსხვა სახის კულტურულ-მასობრივი ღონის-ძიებების მოწყობა, რომელშიც გამოკვეთილი ადგილი ჰქონდა დათმობილი საქალაქო დღესასწაულ ,,ფაზისობას”.

ფაზისობას წინ უძღვოდა სხვადასხვა მხატვრული და ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებები, ქალაქის ქუჩების დღესასწაულები, დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, რაც ერთ-ერთ საუკეთესო ფორმას წარმოადგენდა და ქალაქის მოსახლეობის აქტიურობის, ურთიერთ დაახლოების საუკეთესო საშუალება იყო. ამ დროს ხდებოდა წარმოების მოწინავეთა, ქუჩის აქტივისტთა გამოვლენა და მათი წახალისება- დაჯილდოება, რომელიც კარგ სტიმულს იძლეოდა მუშაობის ფართოდ გაშლისათვის. საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით აქვე ხდებოდა ფოთის ,, საპატიო მოქალაქეების” არჩევა.

ჩვენს მიერ გაწეული ერთობლივი საქმიანობა ფოთის მოსახლეობას შეუმჩნეველი არ დარჩენია და ისინი მხარში გვედგნენ ყველა უბანზე.

დიდი მადლობა ყველას, ვინც ათეული წლების მანძილზე გვერდით მედგა. განსაკუთრებით გამოვყოფდი უფროს თაობას, რომლებისგანაც ბევრი ვისწავლე, შემდგომ წლებში კი ისინი იდგნენ ჩემს გვერდით და ერთად ვიბრძოდით ჩვენი ქალაქის გამშვენიერებისა და გალამაზებისათვის, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნისათვის, ასევე თავგამოდებით შრომობდნენ ჩემი და მომავალი თაობები.

ჩემი ცხოვრება და საქმიანი მოღვაწეობა ორ ისტორიულ ეპოქაში მიმდინარეობდა. ჩემი ფორმირება და სახელმწიფო მუშაკად ჩამოყალიბება სოციალისტურ საზოგადოებაში მოხდა.

პოლიტიკური სისტემის შეცვლის შემდეგაც ჩემი საქმიანობით მოკრძალებული წვლილი შემქონდა ახალგაზრდა, დემოკრატიული სახელმწიფოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში.

ფოთელობა არ არის უბრალო მოვლენა. იგი დაკავშირებულია საქართველოს აღმავლობის ისტორიასთან, რადგან ფოთი რჩებოდა და რჩება ეტალონად სხვა ქალაქებისა და რაიონებისათვის, როგორც სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო, კულტურულ- საგანმანათლებლო ფლაგმანი, რომელსაც ქმნიდა მშრომელ ადამიანთა დიდი არმია. მათ იტვირთეს ფოთი გადაექციათ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ქალაქად. სწორედ აქედან მოდის ჩვენს მიერ გადმოსროლილი ფრთიანი ფრაზა -,, ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთ”. და თუ დღეს, საქართველო ამაყობს თავისი ტოლერანტობით, ამაში ჩვენი დიდი წვლილიცაა ჩადებული.

ფოთში არ არსებობდა კუთხურ-ეთნიკური განსხვავება. ქალაქში ოცდათორმეტი ერისა და ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა. აქ ყველა ფოთელი იყო და როცა მათ ჰკითხავდნენ სადაურობასა და ეროვნულ წარმომავლობას, ის ამაყად პასუხობდა - ,,მე ფოთელი ვარ”, ამით ყველაფერი იყო ნათქვამი.

ეს ჩემი წიგნი მატიანეა, სახელოვანი ისტორიული წარსულის მქონე ქალაქ ფაზის- ფოთისა და ფაზისელ-ფოთელთა შესახებ. ჩემი სურვილია, ამ წიგნმა შემოუნახოს შთამომავლობას თუ ვინ იყვნენ მათი წინაპრები, ვინა ვართ ჩვენ თანამედროვე ფოთელები და ვინ უნდა იყვნენ ჩვენი შემდგომი თაობები.

ჩემს გონებაში თანდათან ცოცხლდებიან ფოთში მოღვაწე ადამიანთა სახეები, რომლებმაც შეუძლებელი შეძლეს და დაჭაობებული, ციებ-ცხელებიანი, მალარიით დაავადებული ქალაქი გადააქციეს შავი ზღვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სანავსადგურო ქალაქად, საქართველოს საზღვაო ჭიშკრად, კარიბჭედ, როგორც მას უწოდებენ თანამედროვენი.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის პოსტზე, ჩემს ოცწლიან საქმიანობას, როდესაც თვალს ვავლებ, ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ ვერ შევძლებდით იმის შექმნას რასაც მივაღწიეთ, რომ არა ჩემს გარშემო მყოფი მაღალერუდირებული, მორალურად მტკიცე, ერთგული სულისკვეთების ადამიანები, როგორც საქალაქო საბჭოს აღმასკომში, ასევე საწარმო-დაწესებულებებსა და შრომითს კოლექტივებში.

ბედნიერი ვიყავი იმით, რომ მონაწილე გახლდით ჩემი ოცნების ქალაქის სასიკეთო სახეცვლილებებისა, მისი სამომავლო გეგმების განხორციელებისა, მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური, მატერიალური, კულტურულ საყოფაცხოვრებო მდგომარეობის ამაღლებისა. ვამაყობდი იმით, რომ ჩვენ ფოთელები, ჩვენი ალალი გარჯით უყოყმანოდ ვაშენებდით საქართველოს მომავალს. ვამაყობ იმითაც, რომ ფოთელ მშენებელთა შორის მეც მედო წონადი წვლილი.

მიუხედავად იმისა, რომ ფოთში ჩემი საქმიანობის ორმოცდდათი წლის მანძილზე გაკეთდა ძალიან ბევრი რამ, ჩემში მაინც არსებობს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომ სრულად ვერ შევძელით ყველა სასიკეთოდ დასახული მიზნის განხორციელება. რამდენი რამ დაგვრჩა მოსაგვარებელი და გასაკეთებელი, რომელიც განსახორციელებლად დავუტოვეთ ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალ თაობას. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ესტაფეტა საიმედო ხელშია. ახლა უკვე მათზეა დამოკიდებული ფოთის ახლებურად, თანამედროვედ გარდაქმნის პერსპექტივები.

ვამთავრებ, რა ჩემს ნაამბობს, მსურს მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ჩემო ძვირფასო ფოთელებო, ჩემო უსაყვარლესო და საამაყო თანამოქალაქენო, უფროსი, საშუალო და ჩემი თაობის მეგობრებო, მომავალო თაობავ. ასე მგონია, რომ თქვენთან საამურ საუბარს ვერასოდეს დავამთავრებ.

როგორც დიდი ნიკო ნიკოლაძე ბრძანებდა: ,,ჩემო ქალაქო, მე მიყვარდი შენ, მე გემსახურებოდი შენ, ისე როგორც შემეძლო” და ასე იქნება ჩემი სიცოცხლის ბოლომდე- მიყვარხარ დღესაც და ამ სიყვარულით გავწევ ჩემი ცხოვრების ჭაპანს, რომელსაც კვლავაც უანგაროდ და უყოყმანოდ შენ მოგახმარ.

ამ, ჩემს ერთი შეხედვით ვრცელ, მაგრამ ფაქტობრივად მცირე მონათხრობში, ბევრი რამ გიამბეთ, მაგრამ უფრო ვრცლად ეს ყველაფერი მოთხრობილია ამ წიგნის ცალკეულ თავებში, რომელსაც იმედია თქვენ წაიკითხავთ და თქვენს კომპეტენტურ შეფასებებს მისცემთ.

ყველაფრისათვის მადლობა შენ, ჩემო ძვირფასო ფაზის-ქალაქო, ჩემო მშობლიურო ფოთო, ჩემი ოცნების უწმიდესო ალაგო.

დიდება, წინსვლა, გამარჯვება და ღვთის მფარველობა არ მოგკლებოდეთ.

გერონტი კუხალეიშვილი

# მეგობრები გერონტი კუხალეიშვილის შესახებ

## კაცთმოყვარეობის ნიჭით გამორჩეული მოღვაწე

ბატონ გერონტი კუხალეიშვილთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს. თავს უფლებას ვაძლევ, მისი პიროვნული ღირსებების შესახებ, ზოგიერთი მოსაზრება საჯაროდ გამოვთქვა.

ბატონი გერონტის (ჯუკას) შრომითი საქმიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული კოლხეთის დაბლობის დაშრობა-ათვისებასთან.

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოს ახალგაზრდობამ წამოიწყო ეპოქალური მნიშვნელობის ინიციატივა: ,,გადავაქციოთ საქართველო საბჭოთა ფლორიდად". ეს მიმზიდველი და შრომითი პათოსით გამსჭვალული ლოზუნგი გულისხმობდა კოლხეთის ჭაობის დაშრობა-ათვისებას და შავი ზღვისპირეთის სუბტროპიკული კულტურების აყვავებულ მხარედ გარდაქმნას. ამ დიდ თაოსნობას მასშტაბური გაქანება მიეცა 40-იანი წლების მეორე ნახევარში. კოლხეთის დაბლობის ათვისება დიდ ინვესტიციებს, თანამედროვე ტექნიკას, ათვისების ახალ ტექნოლოგიებს, ახალი ტიპის კადრებს მოითხოვდა. ამასთან, უნიკალური მშენებლობის დაფინანსება საკავშირო ბიუჯეტიდან ხდებოდა და მიზნად ისახავდა სუბტროპიკული კულტურების გაშენებას და მათი მოსავლიანობის განუხრელ ზრდას. კოლხეთის დაბლობის ათვისება საქართველოს სახალხო მეურნეობის მასშტაბური, ისტორიული, განვითარების სანიმუშო მაგალითი იყო.

ბატონმა გერონტიმ ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის დიპლომით მუშაობა დაიწყო სპეციალიზებული სტრუქტურის ,,კოლხეთმშენის" სისტემაში, სადაც მან თითქმის ყველა საინჟინრო საფეხური განვლო. იგი პრაქტიკულად ჩაწვდა პრობლემის არსს, ეზიარა დაბლობის ათვისების ერთმანეთისაგან განსხვავებულ კონცეფციებს, რეალურად შეიგრძნო და გამოცადა ჭაობის დაშრობისა და მიზნობრივად ათვისების სიძნელეები, ბუნებრივი და ხელოვნურად შექმნილი ბარიერები.

როგორც იტყვიან, ღია ცისქვეშ, ექსტრემალურ პირობებში, რომელიც თან ახლავს ჭაობის დაშრობას, ახალგაზრდა ჯუკამ შეიძინა დიდი გამოცდილება. სწორედ ასეთ პირობებში ჩამოყალიბდა მისი ხასიათი, ადამიანების მიმართ ნდობა, ურთიერთმხარდაჭერის განცდა, საინჟინრო და ეკონომიკური სიახლეების სწრაფად ათვისების სულისკვეთება, რაც ნიშანდობლივია, საზოგადოებრივი საქმისადმი ერთგულება და ქვეყნის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობა.

ბუნებრივია, მზარდი ახალგაზრდის პიროვნული თვისებები, შრომით საქმიანობაში წარმატებები შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ახალგაზრდა ინჟინერი მოკლე პერიოდში ქალაქ ფოთის ახალგაზრდობის ლიდერი გახდა. ნიჭიერება და შრომითი წრთობა მისაღები შეიქნა თვისობრივად ახალ ასპარეზზე. ფოთის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობდა სახალხო მეურნეობისა და კულტურის, სპორტის განვითარებაში. მათი ახალგაზრდა ხელმძღვანელი საქართველოს ახალგაზრდობაში პოპულარული გახდა. იგი საიმედო და პერსპექტიულ მოღვაწედ მოიაზრებოდა. ახალგაზრდულ ორგანიზაციაში ნოვატორულმა საქმიანობამ, პიროვნულმა თვისებებმა განაპირობა მისი დაწინაურება მაღალ პარტიულ საფეხურზე.

იმ დროს კადრების აღზრდის მოქნილი, საფეხურებრივი სისტემა არსებობდა. თითოეულ საფეხურზე კადრის ყოველმხრივ ფორმირების ამოცანა წყდებოდა. მორიგ საფეხურზე სწრაფად ან დაგვიანებით გადასვლა, როგორც წესი, გამორიცხული იყო, ასეც მოხდა ჯუკას ცხოვრებაში. იგი, როგორც უფრო მაღალი და მრავალმხრივი ამოცანების შესრულებისათვის მომზადებული, გადაიყვანეს ქალაქის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მთავარ ორგანოში და მიანდეს ქალაქის სახალხო მეურნეობის ფლაგმანის, მრავალდარგოვანი მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ეს დიდ ნდობასთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაც იყო.

ბატონი გერონტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამჯერადაც ნდობის დონეზე აღმოჩნდა და ქალაქის მოსახლეობის გამორჩეული პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ბატონი გერონტი, დიდიხნის მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომს. სწორედ ამ პოსტზე ფართოდ გაიშალა მისი ნიჭი, მრავალმხრივი გახდა მისი საქმიანობა.

საქართველოში მას იცნობდნენ და დღესაც იცნობენ, როგორც ნიჭიერ, ჭკვიან, პრინციპულ, ენერგიულ, კომუნიკაბელურ, ფართო ერუდიციისა და კაცმოყვარეობის უნარით გამორჩეულ მოღვაწეს.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, პოლიტიკური სისტემის მყისიერად შეცვლამ, ლოგიკურად გამოიწვია ქაოსი, წარსულის ხელოვნურად განქიქება, იმძლავრა ნიჰილიზმმა, მოხდა ფასეულობების გადაფასება. ადრინდელი კადრები საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოსცილდნენ. ბევრი მათგანი სასოწარკვეთილებამ მოიცვა, მაგრამ საბედნიეროდ, აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც უყოყმანოდ ჩადგნენ ახალი ტიპის სახელმწიფოს მშენებლობაში. მათ რიგებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბ-ნი გერონტი ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა. მას მიანდეს უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფო სისტემის ერთ-ერთი რეგიონული სტრუქტურის ხელმძღვანელობა.

ბატონი გერონტი ახალი შემართებით, მდიდარი გამოცდილებით და, რაც ნიშანდობლივია, ობიექტურობითა და პრინციპულობით შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, მის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტას და, ამჯერადაც, საზოგადოების პატივისცემას იმსახურებს.

ბატონი გერონტის შეფასებისას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნიუანსი, რომლის მიხედვითაც, რეალურად ჩანს მისი მრავალმხრივობა, მამულიშვილობის მაღალი გრძნობა, ნიჭი და უნარი, წარსულისადმი მოწიწება, აწმყოს მიმართ ოპტიმიზმი, მომავლის რწმენა.



ბატონი გერონტი და მისი თაობა, ერთი ქვეყნის ორ პოლიტიკურ ეპოქაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მოღვაწეობს დღესაც. ორივე დროში ბატონმა გერონტიმ თავისი პიროვნული შესაძლებლობები უყოყმანოდ და ერთგულად გამოიყენა ქვეყნის საკეთილდღეოდ, ქართული ფენომენის გაძლიერება-განმტკიცებისათვის. ბატონმა გერონტიმ და მისმა თაობამ დაადასტურეს, რომ ჭეშმარიტი მამულიშვილობა ისტორიული დროის მხოლოდ ცალკეული მონაკვეთებით არ განისაზღვრება.

მამულიშვილებად იბადებიან, იწრთობიან, ამიტომ მათზე დროის ცვალებადობა არსებით გავლენას ვერ ახდენს. დღევანდელი საქართველო ამის კარგი მაგალითია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბატონი გერონტი და მისი თაობა საქართველოს წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის მთლიანობის სიმბოლოს წარმოადგენენ.

დღეგრძელობას, ბედნიერებას, წარმატებებს ვუსურვებ ჩემს მეგობარს, თანამოაზრეს და კოლეგას, ღირსეულ მამულიშვილს ბატონ გერონტი - ჯუკა კუხალეიშვილს.

**ნოდარ ჭითანავა**
**აკადემიკოსი**

---



# ღირსეული პიროვნება და ერთგული მეგობარი, ჩვენი გერონტი

ღირებულისა და ღირსეულის, გულითად მოგონებათა პატივგების წინამდებარე წიგნში ბუნებრივად ასახულია, ღირსეული პიროვნების ბიოგრაფიული ჩანახატები, რომლებშიც გულის სითბოთი, ობიექტურად არის გადმოცემული დამსახურებული ღვაწლი და განვლილი ცხოვრებისეული გზა... სრულად ვიზიარებ და ვუერთდები წიგნის ავტორის, ბატონი გერონტი კუხალეიშვილის მისამართით აქ გამოთქმულ შეხედულებებს, მისალმებებსა და ნააზრევს .

ბატონ გერონტისთან, ჩემი ახალგაზრდობის წლებიდან მოყოლებული, აღფრთოვანება და უფროს-უმცროსობის შეგნებით გამსჭვალული ურთიერთპატივისცემა და მოკრძალება მაკავშირებს. თუმცა, არა მგონია, საჭირო იყოს, გავიმეორო მისი საინტერესო ბიოგრაფიის საეტაპო მოვლენები და მათი შეფასება. უბრალოდ, მინდა მკითხველს მოვუთხრო ჩვენ შორის ადამიანურ ურთიერთობათა შესახებ, მოვიგონო მის მიერ ჩემი ოჯახისადმი გამოჩენილი მზრუნველობისა და გულშემატკივრული მხარდაჭერის ფაქტი, ასე რომ ამშვენებს ქართველი კაცის ხასიათს.

მუდამ მხიბლავდა და აღმაფრთოვანებდა, ამ ჩემი წინამორბედი მოღვაწის, ფაზისელი, კოლხი კაცის ადამიანური ღირსებები; მისი საქმიანობა პარტიულ-საბჭოთა თუ სამეურნეო ორგანოებში და ის საზოგადოებრივი აღიარება, რომელიც წილად ხვდა ამ ღირსეულ პიროვნებას.

ბატონი გერონტი, თავისი ცხოვრების წესით, საქმისადმი ერთგულებითა და ადამიანებისადმი უანგარო დამოკიდებულებით, მუდამ იყო და არის ჩემთვის მისაბაძი პიროვნება. ღვთის წყალობით, ის მუდამ მამულის, მშობლიური ქალაქისა და თანაქალაქელებისათვის სასარგებლო საქმეების კეთებისკენ მოგვიწოდებდა და ახლაც მოგვიწოდებს... ჩემი პირდაპირი და პრინციპული ხასიათის გამო (მე კი გპირდებით, ჩემი ცხოვრების ბოლომდე ასეთად დავრჩები), არც მეგობრებს ვიცვლი, არც ცხოვრების პრინციპებსა და არც პირადი ტელეფონების ნომრებს. ჰოდა, ვიყავი, ვარ და ვიქნები ჩვენი გერონტის უმცროსი ძმადნაფიცი მეგობარი. ჭეშმარიტად, ვამაყობ ამ ღვთისგან ბოძებული მადლით.

ჩვენს დანათესავებამდე დიდიხნით ადრე, მე ბედნიერი საშუალება მომეცა მიმეღო მისგან, უფროსი მეგობრისაგან, პრაქტიკული თანადგომა.

ფოთელებს კარგად ახსოვთ დამანგრეველი ქარიშხალი, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში დაატყდა თავს ჩვენს ქალაქს. ტრადიციულად, ჩვენი ხის ოდა სახლები, ნესტგამძლე ბურჯებზე იყო შემდგარი. მაშინ ქალაქში, თითქმის, არ დარჩენილა ოჯახი, სახურავი რომ არ გადაეხადა მთლიანად ან მთელი სახლი არ გადაედგა ბურჯებიდან, ნუ გაგიკვირდებათ და... მეზობლის ეზოშიც კი. ჩვენი ოჯახი, ანუ ის, რაც მშობლების გარდაცვალების შემდეგ დარჩა, მაშინ თბილისში ცხოვრობდა. დაობლებული და-ძმა დედაქალაქის სკოლაში ვსწავლობდით. გამზრდელი ბებიების ამარა დარჩენილები, მაღალ ღმერთს, უფალს - იესო ქრისტეს მინდობილნი, დაილოცა მისი სუფევა, მომავალი ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად ვემზადებოდით.

როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ჩვენი ფიცრული ოდა სახლი მეზობლებს გადაურჩენიათ, ოთხივე მხრიდან საყრდენი ბოძების შეყენებით... იმ დროს სრულიად ახალგაზრდა ბატონმა გერონტიმ დიდი გულისხმიერება გამოიჩინა და უფროს ღვაწლმოსილ ადამიანებთან: გრიგოლ კვაშილავასთან, ალიოშა მოწერელიასთან, ალექსანდრე ჯანუაშვილთან, არსენ ჭყონიასთან, ანასეულელებთან და ლაითურელებთან: ვახტანგ ჭეიშვილთან, ირაკლი გამყრელიძესთან და მექი ბზიავასთან ერთად (მაღალმა ღმერთმა გაანათლოს მათი ვალმოხდილი სულები ზეციურ სასუფეველში), მეზობელი რაიონების წარმომადგენელთა ერთსულოვანი კოლეგიალური მხარდაჭერით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსებისა და მატერიალური რესურსების ხარჯზე, არათუ შემინარჩუნეს მამაპაპისეული ფუძე, ფაქტობრივად, სრულიად ახლად ამიშენეს სახლი უსასყიდლოდ. ასეთი ადამიანური მზრუნველობა ჩემი და ჩემი საგვარეულოსადმი, ჭეშმარიტი მეგობრობა გაგრძელდა 1975 წლის აგვისტომდე და, საბედნიეროდ, გადაიზარდა დანათესავებაში, ერთიან ცხოვრებაში, დავქორწინდი რა ბატონ გერონტის მეუღლის ქალბატონ გულიკოს დაზე - მანანა ქორიძეზე.

ეს ოჯახი ჩვენთვის საფიცარი იყო და არის. იგი მუდამ იქნება ფეხბედნიერი ყველა ახლად დაქორწინებული წყვილისათვის.

ბატონი გერონტი სახელმწიფო, პარტიული თუ სამეურნეო საქმიანობის პარალელურად, მუდამ ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. ასეა დღესაც: იგი ერთხმად არის არჩეული ,,ფაზისის" საერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ფაზისის ეპარქიის საკათედრო ტაძრის მშენებლობა-რეკონსტრუქციის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარედ და თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარედ . ზურგის ქარს ვუსურვებ ჩვენს ძვირფას გერონტის და მის ოჯახს, შვილებს თავიანთი ოჯახებით და შვილიშვილებს.

მაღალმა ღმერთმა, იესო ქრისტე მაცხოვრმა დაგლოცოთ და გაგახაროს, ძმაო გერონტი!

**თქვენი ძმა - ერთიანი ოჯახის**
**წევრი ნუგზარ ნადარაია;**
**მანანა ქორიძე,**
**ოთარ ნადარაია და ნათია გიგაური**

---

# ,,მრავალნი არიან რჩეულნი და მხოლოდ ერთმან მოიხვეჭოს ნიჭი" ჭეშმარიტად!

რჩეულნი და ნიჭიერნი არასოდეს აკლდნენ ,,ფაზისის" აკადემიის ნააკვნარ ქალაქს, მაგრამ ბედნიერებაა, რომ ჰყავს რჩეულთა შორის რჩეულნიც...

ბატონი გერონტი კუხალეიშვილი!

საოცრად სახიერი, კეთილაღნაგი, დინჯი მიხვრა-მოხვრით, ნათელი შუბლით, სითბოს მფრქვეველი თვალებით, ძველქართული დენდიზმით, გამორჩეული სხვათაგან...

ასეთია ჩვენი ქალაქის კოლორიტი: დარბაისელი, ჩინებული მრჩეველი, დამკვალიანებელი, სანიმუშოდ ბრძენი მეგობარი. მუდამ წელში გამართული, დინჯი ნაბიჯებით რომ მიუყვება ქალაქის ქუჩებს. არავისთვის იშურებს მადლიან სალამსა და კეთილ ღიმილს. მასთან ურთიერთობაში ქრება ყოველგვარი დაძაბულობა და გვეუფლება მისადმი არაჩვეულებრივი მოწიწების გრძნობა.

პატივი მხვდა წილად, ვითანამშრომლო ბატონ გერონტისთან, როგორც ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტთან. თუ არა ბატონი გერონტი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული ამ საპატიო თანამდებობაზე? მას ახალგაზრდობიდანვე დაუსახავს მიზნად მშობლიური ქალაქისა და ხალხის სამსახური მისეული შრომისმოყვარეობით,სიმართლითა და უდიდესი მისწრაფებით წარმატებული მომავლისაკენ.

მიუხდავად სიჭარმაგისა, ბატონ გერონტის აქვს ახალგაზრდული ენთუზიაზმი, სხარტი გონება, სიახლის განჭვრეტისა და განზოგადების უნარი; კვალდაკვალ მიჰყვება ცხოვრების რიტმს, ყურს უგდებს მის მაჯისცემას და იმყოფება საზოგადოებრივი ცხოვრების ეპიცენტრში.

ბატონ გერონტის ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის მრავლად აქვს მიღებული ჯილდო, არ აკლია რეგალიები, მაგრამ მთავარი ჯილდო ფაზისელების სიყვარულია.

ცხოვრება ხომ სიყვარულის ხელოვნებაა!

სიყვარული-სხვაზე ზრუნვისა.

დღეს ყველაზე მეტად საჭირო ამგვარი სიყვარულისა და ზრუნვის რეალიზებაა, რაც ჩინებულად შეძელით თქვენ, ბატონო გერონტი, ამიტომაც დაგიბრუნდათ სიყვარული სიყვარულის წილ.

ბატონ გერონტის მიზიდულობის ძალა არამხოლოდ ადამიანური მომხიბვლელობითაა განპირობებული, არამედ თანამედროვეთა მიმართ ყურადღებისა და სიყვარულის გაღებით.

მაღალი შინაგანი კულტურა, მორალი, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება,და რაც მთავარია,ახალგაზრდობისათვის გზის გაკვალვა და მრჩევლის ამპლუაში მუდამ მზადყოფნა ის თვისებებია, რომლითაც იხიბლებიან გარშემომყოფნი.

ადამიანის ცხოვრება კალენდრის ფურცლებია, რომლებსაც დღეყოველ ვშლით, კრიალოსანივით ვმარცვლავთ, ჩავიკითხავთ და ვემშვიდობებით. ზოგი მეტად საინტერესო და შინაარსიანია, ბედნიერია ის, ვინც ამ კალენდრის ფურცლებზე შინაარსიან ცხოვრებას აღბეჭდავს.

თქვენ ბრძანდებით ამგვარი ბედნიერი, ბატონო გერონტი!

თქვენ ,,საქმემან თქვენმან" გამოგაჩინათ. მინდა ჩემი მოკრძალებული მადლიერება და პატივისცემა შევუერთო თქვენდამი საერთო მადლიერების გრძნობას, იმ დიდი ღვაწლისათვის, რაც მიგიძღვით ფაზისქალაქისთვის უანგარო სამსახურის გაწევვით; მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა დღეგრძელობა თქვენს უმშვენიერეს მეუღლესთან საამაყო შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, იმისთვის, რომ კვლავ დიდხანს აკეთოთ თქვენი საქმენი.



ფასდაუდებელია თქვენი შემართება და უშრეტი ენერგია ,,ფაზისის" აკადემიის შემდგომი წინსვლისა და განვითარების საქმეში.

დიდმა აკაკიმ ბრძანა:

,,რაც არ იწვის, არ ანათებსო".

ჭეშმარიტად!

უფალმა ნუ მოგიშალოთ ამგვარი წვა და ნათება კიდევ მრავალ ათეულ წელს!

**დოდო ხუხია,**
**„ფაზისის"საერო-სამეცნიერო აკადემიის ფოთის სათაო საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე,**
**ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე**

## ვუძღვნი საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ღირსეულ მებრძოლს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, სამშობლოს სიყვარულისთვის ზვარაკად შეწირულს

# გოჩა ესებუას



დიდება შენდა-ერის ტკივილო,
 ქუჯის მოდგმისავ...
სულით მაღალო, გულით მართალო,
ვიწრო ბილიკით მუდამ მავალო
მრავალ ცოცხალზე ამაღლებულო!
საქმენი შენი ამა სოფელში,
უფლისგან არის მოწონებული,
რადგან არჩიე მართლის ცხოვრება,
რომ გეხსნა ერი დამცირებული.
ერის ტკივილი გულს გიკოდავდა
აღარ შეგეძლო მშვიდად ყურება.
აღსდექ ბოროტთა დასათრგუნავად,
რომ მოგეცანა ქვეყნად მშვიდობა.
მაგრამ სატანის ცბიერმა ხელმა
იგრძნო რა შენში ძალი მართლისა,
აღარ დაგინდო სიმართლის მთქმე-
ლი
და ცდუნებულის ხელით გაგწირა.
მაგრამ რჩეული, რჩეულად დარჩი.
ვერა დაავლო შენს სულს ბოროტმა,
რადგან დათრგუნე შენი სიკვდილით
ძალა, რომელიც სატანისგან არს.
შენ ღირსეულო, რჩეულო ძეო,
ღვთის მოვლენილო სიმართლისათვის,
რაც შენ წამება გერგო ამქვეყნად
უფალი მოგცემს სიმშვიდეს ზეცად.
მან კი იკითხოს, ვინც შენ გაგწირა.

და არ დაინდო სული მართალის,
ქვეყნად და ზეცად განწირულია
ელის სასჯელად მახვილი უფლის.
საქმენი შენი ზენას ამაღლდა
და შენ იცვალე სახე მარადის,
შენ, ქერუბიმთა დასი მრავალი
სასუფევლისკენ გზად მიგიძღვება-
(ზვ. გამსახურდია)
აქ კი ცრემლებით გაცილებს ერი,
და სიყვარულით გემშვიდობება.
არ დაგივიწყებს მოდგმა იბერის,
რადგან ხსნა იყავ ყველა ტანჯულის.
და შენ - ვაჟკაცო, არწივო მთისა
თავისუფლების ლაჟვარდში მფრინო
აბა, ვინ მისცა ბეღურებს ძალა,
რომ აიწიონ შენს სიმაღლესა.
მხოლოდ რჩეულსა, ღვთის მოვლენილსა
უფალი აძლევს მაღლის წვდომასა,
მას არ მოაკლებს იმ სიხარულსა,
რომელიც არის, მხოლოდ ზეცასა.
და შენ! ზვიადის სიტყვის ერთგულო,
გაუტეხავო შენი ფიცისა,
მისი იდეის გამტარებელო
ძლიერი სულით ამაღლებულო.
ბედნიერია ერი ქართველი,
რომ შენისთანა მას ჰყავს შვილები,
ის არ დაკარგავს თვითმყოფადობას
რადგან მასა ჰყავს ძე რჩეულები.
არ ეღირსებათ ღვთის დაწყევლილებს
ქართული სულის მოსპობა ქვეყნად,
აღიმაღლებენ დევნილნი სიტყვას
და მოჰკითხავენ მრავალსა ცოდვას.
აღარ შერჩებათ მათ შენი სისხლი
არც ძმათა შენთა ტანჯვა-წამება,
კარს მომდგარია უფლის სამსჯავრო,
რომელიც მოსპობს ყველა ბოროტსა.
მჯერა აღსდგება სიმართლე ქვეყნად,
გამოანათებს მზე სიმართლისა,
ასწყვეტს ბორკილებს, მოვა რჩეული.
რომელიც იხსნის ერს წამებულსა.
და განწირული სული რაინდის
მალე აღსდგება უფლის ნებითა,
და საქართველო დიდჭირნახული
გოჩას იხილავს თავის ძალითა.
უფალო ჩემო, ღმერთო ძლიერო,
მჯერა, ახლოა გამოცხადება,
კარს მომდგარია ჟამი განკითხვის
და დაიწყება დიდი აღდგომა.

5 აპრილი, 1998 წელი
ზუგდიდი
საქართველოს რესპუბლიკის
პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებული-
ზურაბ ცხვიტარია

---

**ნაცარმიყრილი წარსული**

# აგარის (აგარა) წარმოშობის ისტორია

(საქართველო ბიბლიური ქვეყანა)

მსოფლიო კაცობრიობის ისტორია, ისეა აწეწილ-დაწეწილი, რომ ძნელია, (გადაწყვეტილად) უწოდო ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენებს, (გამონაკლისის გარდა) გნებავთ მსოფლიოში აღიარებული კორიფეებზე დაყრდნობით ისტორიულად დამტკიცებული ფაქტი, მე თუ მკითხავთ: მსოფლიო კაცობრიობის ისტორია საერთოდ გადაშლილია! განსაკუთრებით, იბერიული მოდგმის რასების! ან კიდევ რა ვიცით ჩვენ იმ ეთნოსების შესახებ, რომლებიც დიდი ხნის უკან აღიგავა პირისაგან მიწისა! მათი კულტურის, ისტორიისა და ენის შესახებ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მრავალი ენაა გამქრალი დედამიწის ზურგიდან, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა როლი ითამაშეს მათ მსოფლიო კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ჩვენ მხოლოდ ქამიტური და სემიტური (ინდოევროპული) კაცობრიობის მიერ თავსმოხვეული, საკუთარზე მორგებული ცრუ ისტორიულ ფაქტებს ვეყრდნობით. ამით იმის თქმა მინდა მეგობრებო, რომ არარსებობს ობიექტურ წყაროებზე დაყრდნობით ჭეშმარიტი ისტორია. ისტორია სხვადასხვა ეპოქებში გაბატონებულთა მიერ ურცხვად ყალიბდებოდა და ამ მძიმე გაყალბების „ქურუმები" მსოფლიოში კარგად ცნობილი „კორიფეები" გახლდათ და (სამწუხაროდ) მათ ლანდს გამოკიდებული ქართველი მეცნიერების, (მცირედის გამოკლებით) უმრავლესი ნაწილი. ისმის კითხვა: რა სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით მიგვაჩნია საკუთარი ისტორია, ობიექტურ და რეალური ფაქტებით გაჯერებული? ვფიქრობ, რომ ჩვენი წარსული ისტორიის, მხოლოდ მცირედი ნაწილია ფაქტებით გაჯერებული. მაგალითის მოყვანა ძალიან ბევრის შეიძლება, თუმცა, ვფიქრობ, (სამართლიანობისათვის) აუცილებელია ერთმნიშვნელოვანეს ფაქტებზე გავამახვილო ყურადღება.

ჩვენ ვიცით, რომ ისტორიულ წყაროებში ქართლი მოხსენიებულია იბერიად, ხოლო ეგრისი - კოლხეთად. საინტერესოა, ამის საფუძველს ერთ ხმაში ამღერებულ ქართველ მეცნიერებს რა აძლევთ?! მათი თქმით ქართლი მიეკუთვნება იბერიას-ხოლო ეგრისი-კოლხეთს. გამოდის, რომ საქმე გვაქვს სხვადასხვა ცივილიზაციასთან, როდესაც კოლხეთი იბერიული ცივილიზაციის პირმშოა და მემკვიდრე, რაც შეეხება ქართლს, რა თქმა უნდა ეს ტერიტორია იბერიის იყო, ასე რომ განცალკევება ქართლის-იბერიისა, ეგრისის-კოლხეთისა და, უფრო გასაგებად - მხოლოდ ქართლის მოხსენიება იბერიად, აი, ეს არის მითვისება და ისტორიის გაყალბება. ყოველივე ამის გასაბათილებლად მოვიყვან ცნობილი გერმანელი მეცნიერის ვილჰემ ჰუმბოლტის ობიექტური კვლევის დასკვნას, რომელიც ბასკური ენის კვლევის სფეროში მივიდა იმ დასკვნამდე, რომ: პირინეის, ხმელთაშუაზღვის, ეგეოსის, მცირე აზიის, სამხრეთ ევროპის, იტალიის, კავკასიისა და ინდოეთის ჩათვლით პირველი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული. (ზვ. გამსახურდია) და ეს, მაშინ, როდესაც ქართლი არ არსებობდა! შეიძლება, ასე დაამახინჯო შენი ქვეყნის ისტორია ერთი მხარის სასარგებლოდ?! ეს ხომ საკუთართან ბრძოლაა, რომელიც საფუძველია ჩვენი ქვეყნის დაყოფისა და დანაწილების, რისი შედეგები დიდი ხანია სახეზე გვაქვს და მანამ იქნება ასე, სანამ რეალური ჭეშმარიტი ისტორია ჩვენი ქვეყნის მთელი თავისი დიდებით არ გაცხადდება სრულად. საქართველო არ არის მხოლოდ ერთი მხარე, საქართველო მთელი თავისი ბრწყინვალებით იბერიული სამყაროს უმნიშვნელოვანესი რეგიონია მსოფლიოში და ის ჩვენგან მხოლოდ სამართლიან წარმოჩენას მოითხოვს, რომელიც სიყვარულისა და ცოდნის გარეშე შეუძლებელია.

ეხლა, რაც შეეხება ჩემი თემის მთავარ საკითხს: „ბიბლია" ერთადერთი წმინდა წიგნია წმინდა მამათა შექმნილი, რომელიც არის დოგმა, რისი გადაკეთება, გაყალბება, შესწორება, შეცვლა და საერთოდ უხეშად ჩარევა, (უმნიშვნელოც კი) ყოვლად დაუშვებელია! მაგრამ ბიბლია ჩვენ გვაძლევს წვდომის, შემეცნების, ძიების, აღქმის, გარჯის, ფიქრის, მოსაზრებებისა და დასკვნის უფლებას, თუ იგი, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგება ბიბლიის არსს.

მეგობრებო, როგორც ვიცით ბიბლიაში ყოველი რელიგიური მოვლენის მნიშვნელოვანი ნაწილი იგავით არის გადმოცემული. ვინაიდან, ღმერთი არასოდეს ელაპარაკებოდა პირდაპირ მათ, (ხალხს) არამედ იგავებით: „აღვაღო იგავით პირი ჩემი და ვიტყოდი მე იგავთა დასაბამისთა (ფს.77, 2) და, მეც პატივცემულო მკითხველო უდიდესი მოწიწებით და სიფრთხილით შევეცადე („...იგავთა დასაბამისათა) გამოვთქვა ჩემი მოსაზრება, (განსჯისთვის) ბიბლიური „აგარის" წარმოშობის შესახებ, რომელიც ბიბლიურ საქართველოს უკავშირდება.

მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრულად:

ნოეს შვილებისაგან კაცობრიობა ხელახლა გამრავლდა, ისინი ერთ ენაზე უბნობდნენ, მაგრამ კაცობრიობის ბოროტი საქმენი მალე გამრავლდნენ და მაშინ მოინდომეს ისეთი კოშკის აგება, რომლის სიმაღლე ცას უნდა სწვდენოდა.

ღმერთმა დაარღვია ეს ამპარტავნული ზრახვა ხალხის და აურია მათ ენა, რა დროსაც მშენებლებმა ვერ გაუგეს ერთმანეთს, მიატოვეს კოშკის მშენებლობა და გაიფანტნენ, ხოლო მოუმთავრებელ ქალაქს ბაბილონი დაარქვეს. (არქმ. ყუბანეიშვილი).

იმ დროს ცხოვრობდა ერთი ღვთისმოსავი კაცი სახელდობრ აბრამი, რომელიც სემის შთამომავლობისგან იყო და ის, ღმერთმა ამოირჩია ჭეშმარიტი სარწმუნოების დამცველად.

ღმერთმა უთხრა აბრამს: „წადი შენი ქვეყნიდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც მე გიჩვენებ. მე წარმოვადგენ შენგან დიდებულ ხალხს და იკურთხებიან შენგან ყოველი ტომი ქვეყნისა". (დაბ. 12.1).

„აბრამი ერწმუნა ღვთის სიტყვას, წავიდა და წაიყვანა თავისი ცოლი სარა და ძმისწული ლოტი. მივიდა მისთვის უცხო ქვეყანაში, რომლის სახელი იყო „ქანაანი" და იქ დასახლდა". აქ შევჩერდები!

გეოგრაფიული „ქანაანი" არის ბიბლიური წარმოშობის ტოპონიმი. როგორც ცნობილია, ყოველი ტოპონიმები თავის შესატყვის სახელწოდებას ღებულობს, (გარკვეულ მიზეზთა გამო) გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, ზოგი ისტორიულ-რელიგიურს უკავშირდება და სხვა. ასევეა „ქანაანი" რომელიც პირდაპირ კავშირშია ბიბლიურ ენასთან, რომლის წარმოშობას სრულიად განმარტავს, იგი ძველმეგრული სიტყვაა და ნიშნავს: გვირგვინოსან დედაღვთაებას - ნანა-ანის (დედა ენას) ენა ლაზურს. პრეისტორიულ საქართველოში ქანაანის ქვეყანაში არქეტიპული (პირველი) ღვთაების სახელი იყო ქალდი, რომელიც ასევე ძველმეგრული სიტყვაა და ნიშნავს: „გვირგვინოსანი ლაზი დედა" - საუბარია დედა ენა ლაზურზე, (ანბანი) რომელიც: „დამარხულ არს მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად" (დასამოწმებლად) ამიტომ ქანაანის ქვეყანა იგივე დედაღვთისმშობლის ქვეყანაა.

ვაგრძელებ:

აბრაამს ვინაიდან სარასგან არ ჰყავდა შვილი, რადგან სარა ბერწი იყო. სარამ, ქანაანის ქვეყნად დამკვიდრების ათი წლის თავზე მისცა აბრამს თავისი ეგვიპტელი მხევალი ქალი აგარი. შემდგომ სარამ ვერ იგუა აგარის ყოფნა თავის სახლში და აბრამს თავის ქმარს გააშვებინა იგი.

შურიის გზაზე მჯდომ ქალს, რომელიც დიდ გოდებაში იყო. ვინაიდან, ისე გაუშვეს სახლიდან არც საკვები, არც წყალი და არც სხვა საშუალება არსებობისათვის მას არ მისცეს. გლოვაში მყოფ აგარს უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ორსულად ხარ, შობ ვაჟს და ისმაილს დაარქმევ სახელად, რადგან უფალმა მოჰხედა შენს ჩაგვრას, დიდად გავამრავლებ შენს შთამომავლობას და ვერ აღირიცხება სიმრავლის გამო". (დაბ. 16,11). აქედან წარმოდგებიან მუსულმანები, რომელთა შთამომავალია წინასწარმეტყველი მუჰამედი.

დიდ გოდებაში მყოფ ქალს, რომელსაც უფლის ანგელოზებმა ნუგეში მისცა და დაპირდა, რომ მის შთამომავლობას დიდად გაამრავლებდა, რომლის რაოდენობა ვერ აღირიცხება სიმრავლის გამო. ბიბლია არაფერს გვეუბნება თუ რა ენაზე დაელაპარაკა დიდ ვარამში ჩავარდნილ ქალს, ვიცით, მხოლოდ სახელი მისი-აგარი. რაც ასევე ძველმეგრული სიტყვაა და ნიშნავს-ტირილს, რომელიც პირდაპირ შეესატყვისება მომხდარი ფაქტის სევდიან ისტორიას. რის გამოც იმ ადგილს ეწოდა აგარი. (დღევანდელი გორის რ-ნი).

ხოლო, რაც შეეხება შურიის გზას, სადაც აგარი მოშორებით იჯდა, ეს ადგილი გახლავთ დღევანდელი ხაშური. რაც ასევე ძველმეგრული სიტყვაა და ნიშნავს: „შობილი სულისგან". ტერიტორიულად ეს ორი ერთეული, (ხაშური და აგარი) ახლოს არიან ერთმანეთთან.

აქედან გამომდინარე, (მაღალი ალბათობით) აბრამი თავის ოჯახთან ერთად პირველად ამ შემოგარენში დასახლდა. შემდეგ ის გაემართება დასავლეთისკენ (დღევანდელი სამეგრელო) ხეთაში, სოფ. ურთა-ჯეგეთას მთაზე, სადაც ნოეს სასულიერო სკოლა იყო. (დღესაც არის ამ სკოლის ნანგრევები შემორჩენილი) მიიღო რა აბრამმა ზეუნივერსალური განათლება არქეტიპული ღვთაება „ქალდისა", რომელსაც შემდეგ უკანმობრუნებული თავის სამშობლოში პირველი ამკვიდრებს ღმერთის სახელს: „ელოჰიმს", (რომლის სათავე ქალდია). აი, რას ამბობს ამის შესახებ თავის წიგნში შიურე: „

„Великое посвяшение" Древний начальник Семитов по имени Аврам, повсей вероятнасти получивший халдейское посвящение внедрить внего культ Елохима."

აი, ეს გახლავთ ჩემი მოსაზრება „აგარის" წარმოშობის შესახებ. მწირი, მაგრამ დაინტერესებული მკითხველისთვის, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ცნობაა ბიბლიური საქართველოს შესახებ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში
პატივისცემით ნიკოლოზ იბერი
ფუთი - 2018

დარეჯან გიგაშვილი

### ეპოქათა ისტორიული პარალელები

# საქართველოს ეროვნულ-სოციალისტური პოლიტეკონომიის საფუძვლები

## შესავალი ნაწილი

### (ნაწყვეტი წიგნიდან)



დავიწყოთ იმით, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს მეცნიერულად ჩამოყალიბებული საკუთარი პოლიტეკონომია, რომელიც საფუძვლად დაედება მის კონსტიტუციას. ეს სახელმძღვანელო უნდა ასახავდეს საზოგადოების სოციალური მოწყობის ძირითად პრინციპებს, ქვეყნის გეოპოლიტიკური, ეთნიკური და სხვა ნიშნების გათვალისწინებით.

წარუმატებელი "პერესტროიკის" პერიოდის შემდგომ, რომელიც საბჭოთა ხალხს მრავალაზროვნად შესთავაზეს შშღ –ს მეცნიერების აკადემიამ და წამყვანმა სახელმწიფო სამეურნეო და მართვის სტრუქტურებმა, 1991 წლის 18-21 აგვისტოს მოსკოვში ლუბიანკაზე პუტჩის პროცესებიდან გაირკვა, რომ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სოციალისტური წყობა დამთავრდა, ხოლო ლიდერები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ პროცესების ინსინუაციებში, აღინიშნნენ საბჭოთა კავშირის სიმდიდრის მიტაცებაში, ნაცვლად ახალი სოციალ-ეკონომიური პოლიტეკონომიის შექმნისა ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის.

ამ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ახლად ჩამოყალიბებული საწარმოო-სამეურნეო სუბიექტთა ჯგუფებს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ცნობილი საბჭოთა მოღვაწეებისა და ფუნქციონერთა ჩრდილში და წარმოადგენენ მათ სიმბოლურ კლონებს, საშუალება მიეცათ ამ უძლიერესი ქვეყნის დაშლის პროცესში მიეთვისებინათ კაპიტალი, რომელიც ამჟამად იზომება მილიარდებში და ასეულობით მილიონებში.

ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს, რომელთა ბიოგრაფიული მონაცემები სიმბოლურად ასახავს სოციალურ პოლიტიკურ ფაქტებს დაწყებული "პერესტროიკის" პერიოდიდან დღემდე:

- ბერეზოვსკი ბორის აბრამოვიჩი (23 იანვარი, 1946 წ., მოსკოვი, რუსეთი -23 მარტი, 2013 წ. თითნესის პარკი, დიდი ბრიტანეთი), რუსეთის პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე.
- გაიდარი ეგორ თემუროვიჩი (19 მარტი, 1956, მოსკოვი – 16 დეკემბერი, 2009 წ. უსპენსკი, მოსკოვის ოლქი) – რუსეთის ლიბერალური რეფორმატორი.
- გორბაჩოვი მიხეილი სერგეევიჩი (2 მარტი, 1931 წ. სოფელი პრივოლნოე, ჩრდილოეთ კავკასიის მხარე, ღშ შღ, შშღ ), შშღ -ს პრეზიდენტი (1990 წ. – 1991 წ.), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი (1985 წ. – 1990 წ.).
- ელცინი ბორის ნიკოლაევიჩი (1 თებერვალი, 1931 წ. სოფელი ბუტკა ტალიცკის რაიონი, სვერდლოვსკის ოლქი, ღშ შღ, შშღ )
- კირიენკო სერგეი ვლადილენოვიჩი (26 ივლისი, 1962, სოხუმი, აბხაზეთის ავტონომიური ოლქი საქართველოს შშღ), რუსეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე.
- კუდრინი ალექსეი ლეონიდოვიჩი (12 ოქტომბერი, 1960 წ. დობელე, ლატვიის შშღ, შშღ ), რუსეთის პოლიტიკოსი და ბიზნესმენი, 2000 – 2011 წლებში ღ –ს ფინანსთა მინისტრი.
- ლუკიანოვი ანატოლი ივანოვიჩი (7 მაისი, 1930 წ. სმოლენსკი, ღშ შღ, შშღ ), პოეტი ფსევდონიმით ანატოლი ოსენევი, საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, 1990 წლის 15 მარტიდან – 1991 წლის 1991 სექტემბრამდე – შშღ – ს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.
- ლუკიანოვი ვლადიმერ ვასილევიჩი (7 ივლისი (20 ივლისი) 1901, ზაბოლოტიე, ვლადიმირის გუბერნია, რუსეთის იმპერია, - 27 ოქტომბერი, 1958წ. მოსკოვი), საბჭოთა პარტიული მოღვაწე. მუშაობდა კიროვის, იაროსლავის ივანოვოს კომპარტიის საოლქო კომიტეტების პირველ მდივნად.
- ნემცოვი ბორის ეფიმოვიჩი (9 ოქტომბერი, 1959 წ., სოჩა, რუსეთი – 27 თებერვალი 2015 წ., მოსკოვი, რუსეთი), რუსეთის პოლიტიკოსი, სიკვდილის მიზეზი არის პოლიტიკური მკვლელობა.

მეუღლე: რაისა ახმეტოვნა ნემცოვა (1981 – 2015 წწ)

შვილები: ჟანა ბორისოვნა ნემცოვა, ინა ბორისოვნა ნემცოვა, სოფია ბორისოვნა ნემცოვა, ანტონ ბორისოვიჩი ნემცოვი.

- სობჩაკი ანატოლი ალექსანდროვიჩი (10 აგვისტო,1937 წ. ჩიტა, აღმოსავლეთ ციმბირის ოლქი, ღშ შღ, შშღ – 19 თებერვალი, 2000 წ. სვეტლოგორსკი, კალინინგრადის ოლქი, რუსეთი), საბჭოთა და რუსეთის სამართალმცოდნე, პოლიტიკური მოღვაწე, სანკტ-პეტერბურგის პირველი მერი.
- ჩერნომირდინი ვიქტორ სტეპანოვიჩი (9 აპრილი 1938, სოფელი შავი ოტროგი, გავრილოვსკის რაიონი, ორენბურგის ოლქი – 3 ნოემბერი, 2010, მოსკოვი) საბჭოთა სახელმწიფო და სამეურნეო მოღვწე.
- ჩუბაისი ანატოლი ბორისოვიჩი (16 ივნისი, 1955 წ. ბორისოვო, მინსკის ოლქი, ბელორუსია შშღ) – საბჭოთა და რუსეთის პოლიტიკური და სამეურნეო მოღვაწე, ეკონომისტი. სახელმწიფო კორპორაციის " ნანოტექნოლოგიების რუსული კორპორაციის" გენერალური დირექტორი (2008 წლიდან). 2011 წლიდან "ღოსნანო" – ს თავმჯდომარე.

1991 წლის ნოემბრიდან მცირე დროის ინტერვალებით ეჭირა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პოსტები რუსეთის სახელმწიფო კომპანიებში, მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ითვლება 90-იანი წლების რუსეთის ერთ-ერთ იდეოლოგად და ხელმძღვანელად ეკონომიური რეფორმების და ელექტრო – ენერგეტიკული სისტემების დარგში 2000 წლებში.

- შევარდნაძე ედუარდ ამბროსიევიჩი (25 იანვარი, 1928 წ., მამათი საქართველო – 7 ივლისი 2014 წ., თბილისი), საბჭოთა პოლიტიკოსი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ჩ პირველი მდივანი, საქართველოს რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტი.

მათგან განსაკუთრებით უნდა ავღნიშნო ლუკიანოვი ვლადიმერ ვასილევიჩი – საბჭოთა პარტიული მოღვაწე, რომელიც სხვადასხვა დროს მუშაობდა კიროვის, იაროსლავის და ივანოვოს საოლქო პარტიულ კომიტეტებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ამ ადამიანის ბიოგრაფიული ცნობების საფუძველზე მრავალი ფაქტის ახსნა შეიძლება თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში. მის სახელთან არის დაკავშირებული რუსეთის პოლიტიკოსის ბორის ეფიმოვიჩ ნემცოვის და ქართველი ჟურნალისტის გიორგი ღონღაძის მკვლელობა.

- იაროსლავის ოლქის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) საკავშირო კომიტეტის და ა. შ. პირველი მდივანი 1952 წლის აგვისტოდან – 1954 წლის თებერვლამდე.

წინამორბედი – გიორგი სემიონოვიჩ სიტნიკოვი,

მის შემდეგ – პავლე ნიკიტოვიჩი ალფიოროვი

- ივანოვოს ოლქის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) საკავშირო კომიტეტის პირველი მდივანი 1947 წლის თებერვლიდან 1952 წლის აგვისტომდე.

წინამორბედი – გრიგორი მატვეევიჩ კაპრანოვი

მის შემდეგ – თეოდორ ეგოროვიჩი ტიტოვი

- კიროვის ოლქის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) საკავშირო კომიტეტის პირველი მდივანი – 1940 წლის 17 სექტემბრიდან - 1947 წლის 12 მარტამდე.

წინამორბედი მიხეილ სტეპანოვიჩი კანუნნიკოვი

მის შემდეგ – ივანე ტიმოფეევიჩი ბიკოვი.

მე არ ვაპირებ უნივერსალური სახელმძღვანელოს შექმნას, როგორიც თავის დროზე გააკეთეს მარქსმა და ენგელსმა, ან კიდევ კომუნისტებმა - სოციალისტური პოლიტეკონომიის და მეცნიერული კომუნიზმის იდეოლოგიური სახელმძღვანელოები, თუმცა, ვთვლი, რომ სოციალისტური პოლიტეკონომიის ზოგიერთი თავები ნამდვილად შეუცვლელია გარკვეული დაზუსტებების გათვალისწინებით.

მე ვწერ საქართველოს პოპულარულ პოლიტეკონომიის სახელმძღვანელოს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წიაღში ვხედავ სწორედ ეროვნული სოციალიზმის იდეას.

ეროვნული სოციალიზმის იდეა საქართველოში წარმოიშვა მე-19 საუკუნიდან. ამ იდეით არის გამსჭვალული ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის და მათი თანამედროვე რუსი მწერლების – ხალხოსანთა და განმანათლებელთა უკვდავი ნაწარმოებები.

ეროვნული სოციალიზმის ისტორია არ დარჩენილა ჰოლივუდელი კინემატოგრაფისტების ყურადღების მიღმა. სწორედ ამ ფენომენს მიუძღვნეს სათავგადასავლო ფილმი "უფსკრული" (1977), მსახიობების ჟაკლინ ბისსეტის, რობერტ შოუს, ნიკ ნოლტის, დიკ უილიამსის, ილაი უოლლაკის, ლუის გოსსეტის და სხვათა მონაწილეობით.

რეჟისორი – პიტერ იეტსი

პროდიუსერები – პიტერ გუბერი და ჯორჯ დასტინი.

მუსიკა ფილმისთვის დაწერა კომპოზიტორმა ჯორჯ ბარიმ, რომელიც იმ დროისთვის ცნობილი იყო ნამუშევრებით ფილმებში ჯეიმს ბონდის თემაზე.

ფილმის მოკლე შინაარსი: მოქმედება ხდება ბერმუდის მშვენიერ პლიაჟებზე, მზესა და ქვიშაზე, სუფთა ცისფერ წყლებში. ახალგაზრდა წყვილი გეილი და დევიდი არ ჩამოსულან აქ დასასვენებლად. შეძენილ მეგობართან რომერ ტრისთან ერთად ოკეანის ფსკერზე დაძირულ ფრანგულ გემზე " გრიფონზე" ეძებენ სამეფო საუნჯეს.

ფრანგული ფრეგატის კორპუსი ქარიშხლების შედეგად აღმოჩნდა მეორე მსოფლიო ომის დროინდელი სატრანსპორტო ხომალდის ქვეშ, რომელიც დატვირთულია იარაღით და მორფის ამპულებით, რომელსაც დაეძებს ადგილობრივი კრიმინალური ავტორიტეტი კლოში. ყოველივე ამის გამო მათი საუნჯის ძიების ინტერესით სავსე პროცესი გადაიქცა საშიშ ღონისძიებად, და ყოველი წინდაუხედავი მოქმედება წყვილს შეიძლება დაუჯდეს სიცოცხლის ფასად.

ახალგაზრდა წყვილს ეხმარება ადგილობრივი მცხოვრები რომერ ტრისი, რომელმაც ზედმიწევნით იცის ბერმუდის წყლებში ჩაძირული გემების კატალოგი და რას პოულობენ განძის მაძიებლები. ასევე იცის, რომ ადგილობრივი კრიმინალები ეძებენ სწორედ ამ ნარკოტიკებს, რომლის ეგზემპლიარიც ჩაუვარდათ ხელში ახალგაზრდა წყვილს. მან იცის, რომ მათი სიცოცხლე საფრხეშია და ჩქარობს გემის აფეთქებას, მიუხედავად საუნჯის დაკარგვის შესაძლებლობისა.

პირველი ჩაყვინთვისას გეილი პოულობს ფებერჟეს კვერცხის მსგავს მარგალიტებით სავსე ზარდახშას ჯაჭვის ნაწილით და ვერ ასწრებს მისი მეორე ნაწილის პოვნას, რომელიც აღნიშნულია კატალოგით ჩაძირული გემის სამკაულთა სიაში.

შემდეგ ჩაყვინთვის დროს ისინი აწყდებიან კლოშის აკვალანგისტებს. მიუხედავად სიღრმეში მათთან სასიკვდილო შეტაკებისა, ტრისი ახერხებს აამოქმედოს ასაფეთქებელი მოწყობილობა და ამოიღოს სამკაულის მეორე ჯაჭვიანი ნაწილი.

ვინ იცის, რამდენი საიდუმლოა დამარხული გრიფების ქვეშ, მათი დანაშაული ცივილიზებული საზოგადოების წინაშე, რაც ადრე თუ გვიან ამოტივტივდება ზედაპირზე.

ეს თემა დღეს აქტუალურია როგორც არასდროს მსოფლიო პროცესების ფონზე, რომელთაც მიიღეს შენიღბული მსოფლიო ომების ფორმები, და აღინიშნება მსოფლიოს ხალხთა მასების ინტელექტუალური დაპირისპირების მოტივებით და ფორმებით.

სახელმწიფოთა სოციალ-ეკონომიური ფორმაციების – საზოგადოების ეკონომიური და სოციალური მოწყობის ფორმების განვითარების ისტორიაში მუდამ აღინიშნებოდა მძაფრი მასიური სოციალური დაპირისპირებები, რომლებიც იზრდებოდა აჯანყებებში და სამოქალაქო ომებში. ასეთ მოძრაობებში მუდამ გამოირჩეოდნენ ძლიერი ადამიანური თვისებების მქონე პიროვნებები, რომლებიც იქმნებოდნენ ამ მოძრაობების წამყვან ძალად და განსაზღვრავდნენ მათ მნიშვნელობას კაცობრიობის განვითარების ისტორიის ჩარხში.

მე არ გამოვრიცხავ, რომ უმეტეს შემთხვევაში ნამდვილი გმირების სახელები ექცეოდა ჩრდილში, ან საერთოდ იკარგებოდა, ხოლო სხვათა სახელები დაუმსახურებლად, გადამეტებულად შემორჩა ისტორიას ოპორტუნისტების, ცრუ იდეოლოგების და ბელადების შემწეობით, რომლებიც გარკვეულ პერიოდში მასებს აბრუნებდნენ პირვანდელ დამოკიდებულ ყოფაში.

ასეთი მაგალითებით სავსეა კაცობრიობის ისტორია, ამ თემაზე შეგვიძლია ვისაუბროთ შეუწყვეტლივ, ამ თემაზე წერდნენ მემატიანეები, კლასიკოსი მწერლები და პუბლიცისტები.

ბოლო წლებში განსაკუთრებით იზრდება ჟურნალისტიკის როლი. იგი სწრაფი ტემპით ყალიბდება, როგორც კლასი თავისი წერის ეთიკითა და კოდექსით, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ შორს არიან სრულყოფილებისაგან იმის გამო, რომ არა ყავთ თავიანთ წრეში წამყვანი ანალიტიკოსი ჟურნალისტები და პუბლიცისტები.

2018 წლის 25 აგვისტოს გარდაიცვალა ჯონ სიდნეი მაკკეინი III (ინგლ. ჟოჰნ შიდნეყ ცჩაინ III ინგ, 29 აგვისტო, 1936, ავიაბაზა ჩ შ " ოკო-ჩოლო" – 25 აგვისტო 2018, არიზონა, შ ), საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ერთ-ერთი დამცველი ამერიკელი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე.

მე ხშირად ავღნიშნავ საუბარში, რომ ადამიანური ფაქტორი არსებობდა და იარსებებს ყოველთვის, როგორც ჩვეულებრივ ყოველდღიურ, ასევე საერთაშორისო ურთიერთობაში.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მაკკეინს ქონდა საკმარისი მიზეზები, რისთვისაც პატივს სცემდა და იცავდა საქარველოს. ვფიქრობ რომ ის სწორედ ის ბებერი გრიფია, რომელიც ისმის ფილმის " მაკკენას ოქროს" სიმღერაში. ჰტტპს://კადუ.რუ/ვიდეო/670631-ძოლოტო– აკკენყ-



*სალვადორ დალის სურეალისტური ტილო ასახავს ანდროიდის დაბადებას.*

*მხატვარმა ეს ნამუშევარი მიუძღვნა რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის ნაწარმოებს „ომი და მშვიდობა" (1865-68).*

*როგორც სურათიდან ჩანს რუკაზე მითითებულია საქართველო*

ილმ

მეორე უკრაინელ გრიფონს პოლტავის სოფელ უსტივციდან – კონსტანტინე ივანეს ძე სტაროსტენკოს, მისი სიტყვით ქართული წარმომავლობით, ვიცნობ 20 წელზე მეტია. ის გარდაიცვალა წელს, 2018 წლის მარტში.

ეს ადამიანი არის კაცობრიობის ღირსება. ეს არის საქართველოს ქვის კედელი.

**დარეჯან (დალი) გიგაშვილი.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## მერაბ ლევანის-ძე ზერაგიას არდავიწყებას!



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ ფოთის სამართველოს ვეტერანი მუშაკები, ძალოვანი სტრუქტურების, სამხედრო ძალების და პატრიოტთა კავშირი ,,ფაზისიდიოსკურია"-ს წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ 58 წლის ასაკში ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვეტერანი პოლიციელი, ღირსეული ოფიცერი, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი, პოლიციის თადარიგის მაიორი

**მერაბ ლევანის-ძე ზერაგია!**

ჩვენმა სამეგობრომ - დამსახურებულ ვეტერან სამართალდამცველთა ერთობამ კიდევ ეთი სახელოვანი გვარდიელი დაკარგა! ულმობელმა სენმა აჯობა სამშობლოზე, მშობელ ხალხზე, ფოთსა და ფოთელებზე უზომოდ შეყვარებულ ვაჟკაცს, რომელმაც თავისი ცხოვრების ორ ათეულ წელზე მეტი მიუძღვნა პოლიციელის რთულ და საპასუხისმგებლო პროფესიის ერთგულად მსახურებას! პიროვნული პატიოსნება, ოფიცრის ფიცისადმი ერთგულება, უანგარობა და თავმდაბლობა ახასიათებდა მერაბ ბატონს მთელი ცხოვრების მანძილზე და სწორედ ამისთვის მოიპოვა მან თავისი თანაქალაქელების და თანამებრძოლების სიყვარული და პატივისცემა!

მერაბ ბატონი ერთ -ერთი პირველი იყო მათგან, ვინც ჩვენი თაობის პოლიციელთა და ძალოვანი სტუქტურების თანამშრომელთა თადარიგში გასვლის შემდეგ, ყველაფერი გააკეთა ჩვენი ერთობის შესანარჩუნებლად და ჩვენი კავშირის ჩამოსაყალიბებლად! ეს, მაიორ მერაბ ზერაგიას დიდი დამსახურებაცაა, რომ დღეს კავშირში 200-ზე მეტი წევრია გაერთიანებული და ყველანი ამაყად ატარებენ დამსახურებულ ვეტერან - სამართალდამცველთა წოდებას!

ყველანი თავს გიხრით, ბატონო მაიორო! ყველანი გემშვიდობებით, ჩვენო ძმაო, მერაბ! მსუბუქი იყოს შენთვის შენი ფაზის-ქალაქის მიწა, ხვალ რომ სამარადჟამოდ გულში ჩაგიხუტებს!

უფალს შევთხოვთ შენი ზეცად ამაღლებიდან მეორმოცე დღეს დაგიმკვიდროს ადგილი ცათა სასუფეველში - იქ სადაც მართალნი განისვენებენ!

## ჯუმბერ ჩარგაზიას ხსოვნას



ჯუმბერ ჩარგაზიამ ბოლომდე ატარა ფოთის ხასიათი და ტრადიციებიჰუმანურობა, ტოლერანტობა, კაცობა, სტუმარ-მასპინძლობა, ამიტომაც უყვარდა ყველას ვინც მის გარშემო ცხოვრობდა და იღწვოდა-ახლობლები, მეზობლები, მეგობრები, საწარმოს დიდი კოლექტივი. იყო თავმდაბალი, მეგობრული, კომუნიკაბელური, ყველას ჭირის მოზიარე. ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებელ ქარხანაში ბოლომდე იმუშავა ვიდრე არ შეწყვიტა მუშაობა ცნობილი მიზეზების გამო. გამორჩეული სპეციალისტი, მაღალი კლასის ოსტატი, პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას-აქაური პროდუქცია ხომ მსოფლიო ბაზარზე გადიოდა. ეს იყო შრომის, წარმოების, პიროვნული დამკვიდრების საუკეთესო წლები. თავის რჩეულთან, რუსუდან კაკულიასთან ერთად შექმნა სანიმუშო ოჯახი, მათ ორი ღირსეული ვაჟკაცი გია და ზურიკო აღუზარდეს ქვეყანას, რძალი შორენა წულაია აგრძელებს ოჯახურ ტრადიციებს. ბაბუასათვის ყველაზე დიდი სიხარული შვილიშვილი-პატარა ნინო-ჩარგაზია იყო, როგორ უნდოდა მის დიდ ქალობას მოსწრებოდა, მაგრამ არ დასცალდა-მხოლოდ შვიდი ათეული წელი იცოცხლა და სიკვდილიც მაშინ წამოეწია, როცა უნდა დაესვენა, ეხარა თავისი ნაამაგარით.

ორი საუკუნის ქარტეხილებმა მისი ცხოვრების გზაზე გაიარა, იყო მოლოდინი, რომ ფეხზე დადგებოდა ქალაქი, ქვეყანა, ადამიანებს ექნებოდათ სამუშაო, ნორმალური ცხოვრების პირობები, მომავლის იმედი არასდროს ტოვებდა. უხმაუროდ აკეთებდა თავის საქმეს. მოთმინებით მიუყვებოდა ცხოვრების აღმართს, არ იყო ეს გზა იოლი. სიცოცხლის ბოლო წლები ნავსადგურში მუშაობდა და აქაც ისევე უყვარდათ, როგორც თავის მშობლიურ ჰიდრომექანიზაციის ქარხანაში, რომლის აღორძინებას ვერ მოესწრო. არ შეიძლება მადლობა არ უთხრათ თანამშრომლობისათვის, სიყვარულისთვის, მეგობრობისთვის.

იცხოვრა ჩუმად და ჩუმად წავიდა, თუმცა, ხსოვნაში დარჩა სევდიანი მონატრება.

,,კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი"...

ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

მეგობრები.


## დიდი მხატვრული ოსტატობით, ახლებური დიზაინით



მის ნახელავს ყოველთვის ეტყობა გამორჩეული ოსტატობა, გაფორმებული აქვს შადრევნები, ჯვრები მარმარილოთი, სხვა ძვირფასი ქვებით, ასევე ბუხრების დიზაინის დიდოსტატია. ძვირფასი მასალებით აკეთებს სხვადასხვა ფასადებს (კაფე-რესტორნების), აკეთებს ქანდაკებებს.

მსურველებს შეგიძლიათ დაურეკოთ 595 77 10 60 -



ლერი სანიკიძე


## ნუ გეშინია, ბაბუ
## გონერი ხახუბიას ხსოვნას



ორი საუკუნის გზაგასაყარზე იცხოვრა, იშრომა. ცხოვრება არც არასდროს ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი, მისი ცხოვრება ქვეყნის ცხოვრების თანაზიარი იყო - დარდიანი, ტკივილიანი და მაინც-იმედით, სიხარულით, ბედნიერებით სავსე, თავის ეპოქის ღირსეული შვილი იყო და მის თაობასთან ერთად ფოთის სახეს ქმნიდა, ამ თაობის დევიზი იყო - ,,ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთ". არ არჩევდნენ ქართველს, რუსს, სომეხს თუ აზერბაიჯანელს - მე ფოთელი ვარო! ამით ყველაფერი იყო ნათქვამი-ჰუმანურობა, კაცობა, სიყვარული აერთიანებდა თაობებს და ასე მოდიოდა ტრადიციად.

ქართველი კაცისთვის ოჯახი უპირველესი საზრუნავია, როგორც ქვეყნის ფუძე, გონერი ხახუბია აქაც სანიმუშო იყო, როგორც ოჯახის ლიდერი, მეუღლე, მამა, ბაბუა და მეგობარი. ღირსეული შვილები აღუზარდა ქვეყანას, ფოთელების სიყვარულით გამორჩეულნი, აკი ანდეს ფოთელებმა ირაკლი ხახუბიას პარლამენტის დეპუტატის მანდატი და დიდი უფლება-მოვალეობანი, რასაც პირნათლადართმევს თავს. თუმცა, ბედმა დიდი ტკივილი არგუნა. ტრაგიკული იქნა ეს წელიშვილის დაღუპვა. სრულიად ახალგაზრდა კაცის, კარგი ფოთელის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ ყველა შეგძრა, მაგრამ ყველაზე ძნელი ბაბუასთვის იყო შვილიშვილის დაკარგვა-ორჯერ სიკვდილია, როცა შენი გენი თავდება და შენ ამას ესწრები და ვერ შველი, არადა, შეეძლო კიდევ დიდხანს ეცოცხლა, მაგრამ ვერ გაუძლო მისი გაზრდილის საფლავის ხილვას. ვერაფერი ვერ შეცვლის ამ დიდ სიცარიელეს, უზომო ტკივილს. დარდი უსიტყვო დაუნდობელი მკვლელია, ერთადერთი იმედი ღმერთია - სულის უკვდავება, იმედი იმქვეყნად შეხვედრისა - ნუ გეშინია, ბაბუ, მე შენთანა ვარ და ვერაფერი დაგვაცილებს - ეს მუხანათი სიკვდილიც. სიცოცხლის ძაფი არ წყდება, პატარა ბიჭი საფლავის ქვაზე მამის და ბაბუას სურათებს ეფერება...

ვინც რწმენით იცხოვრა - ღიაა მისთვის ცათა სასუფეველი. მას ღმერთიც სწამდა და კაციც. აქაური, მიწიერი, მაგრამ მოწამეობრივი ცხოვრებით გამოირჩეოდა. კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთიაქ დასარჩენი და მეორე -იქით წასამძღვარებელიო, მას არც ერთი



აკლდა და არც - მეორე.

ფოთი მარტო ადგილის დედა არაა, იგი ბედისწერაა, ფოთს ემსახურა და იცხოვრა ისე, რომ ფოთელთა ცრემლი მიყვება მარადიულ გზაზე. ეს იყო კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს, ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს.

დაიღალა მოვალეობასთან ჭიდილში და მაინც შეძლო ცხოვრების ზღვა გადაეცურა.

სახლის ზღურბლზე აღარ დაგვხვდება ოჯახის უფროსი და მასპინძელი და სინანული დაისადგურებს-

,,აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი,
მასზე ოცნებას დაემგვანება,
ისევ ამწვანდა მდელო და კორტი,
დავდივარ, ვწუხვარ და მენანება"...

გარდაცვალება ცოდვილთათვის არის სიკვდილი, თორემ განწმენდილთათვის უკვდავების დასაწყისია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისიდიდებული სული.

სხვა რა დაგვრჩენია, თასით ღვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები.

მეგობრები

## ვაინარ სუხიშვილის ხსოვნას
## 7 აგვისტოს 75 წელი შეუსრულდებოდა



დღეს ჩვენს სამეგობროსა და მთელს ქალაქს აკლია კაცი, რომელიც გაიზარდა გასული საუკუნის ფოთში, როცა ფოთობდა ფოთი. მისი ხასიათის ყველა ნიუანსი უტარებია, რამეთუ უყვარდა იგი და ემსახურა როგორც შეეძლო. მისი უმწიკვლო, პატიოსანი მოკრძალებული ცხოვრებით თაობებს გადასცემდა გასაოცარ სულისკვეთებას, საქმის, ოჯახისა და ქალაქის სიყვარულს. უხმაუროდ, ჩუმად ემსახურა ქვეყანას, ასევე უხმაუროდ წავიდა. მხოლოდ მას შეეძლო ყველაფრის გაღება, გაცემა უანგაროდ და სამაგიეროდ არაფერს ითხოვდა. ალალმართალი კაცი თავისი შრომით, წვალებითაც ბედნიერი იყო, რადგან იცოდა, რომ თავის მოქალაქეობრივ ვალს იხდიდა-ღირსებას აყენებდა ყველაზე და ყველაფერზე მაღლა.

ვაინარს არ უყვარდა თავის გამოჩენა, არ აწუხებდა პოლიტიკური ამბიციები და არასდროს უთამაშნია ეროვნულობით, თუმცა, არც ნიჭი აკლდა, არც პასუხისმგებლობა. თითქოს შეუმჩნეველი იყო ეს დიდბუნოვანი და კაცთმოყვარე კაცი-ჩვენ ხომ სიცოცხლეში გვიჭირს ღირსეულთა აღიარება. თუ რამ ამაღლებული იყო ჩემში მას ვუმადლი, როგორც გამზრდელს, მეგობარს, კოლეგას.

მოულოდნელად შეწყდა ამ ჩუმი და უპრეტენზიო კაცის გულისცემა. 7 აგვისტოს 75 წელი შეუსრულდებოდა. ვერ გადმოგცემთ ჩემს სინანულს, რომ ასეთი კაცი აღარაა ამ ქვეყნად. ის ჩემთვის არ მომკვდარა . ისევ ვიღებ სადღეგრძელოს და ვულოცავ დაბადების დღეს.

ახლა მხოლოდ მოგონებებით შემიძლია დავუბრუნდე იმ ბედნიერ დღეებს.

გულსატკენია, რომ ეს დიდებული სული მის შთამომავლობაში ვერ გადავიდა. ამიტომაც აგრძელებს სიცოცხლეს ფოთელთა ხსოვნაში.

მეგობრებისა და
მოსწავლეების სახელით
ბადრი ბასილაია

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქცია იზიარებს ნარგიზა პაპასკირისა და დავით ხვიჩიას მწუხარებას, ძმისა და მაზლის

**ზურიკო პაპასკირის**

გარდაცვალეის გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.


რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო
ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი
ზ. აბრალავა